ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 1 ოქტომბერი, 2018 №232 (7777) ფასი: 60 თეთრი

## თბილისის ცენტრში 25 წლის მამაკაცი მოკლეს

გვ.6

# „ოცნებამ“ ხალხს ნაციონალების დანაშაულებიც კი დაავიწყა“

გვ.2

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „კვირიკაშვილი გააგდეს, ივანიშვილი ლოგინად ჩააგდეს“

გვ.6

ალექსანდრე ივანიშვილის თქმით, თავისი გვარის გამო ახალ ბიზნესს საქართველოში ვერ იწყებს, ამიტომ დაინტერესებულია ძველი ბიზნესის ამოქმედებით და სურს ძვირადღირებული მანქანების შემოყვანა.

## ბიზნესის წილში ჩასმა — რაზე საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის ძმა და ზაზა ოქუაშვილი

## ზვიად ქორიძე: „ჟურნალისტის ვალდებულება არ არის, დაიცვას მეპატრონის ბიზნესი“

გვ.3

„კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, საზმაუს კორუფციაში გახვევს“

## „მარგველაშვილმა გადაწყვეტილება თავისუფლების სასარგებლოდ მიიღო“

გვ.3

**სამართალი**

გვ.6

## თამთა თვალავაძე: „მამაჩემი, შესაძლოა, კლანების დაპირისპირებას ემსხვერპლა“

გვ.7

## კანონიერმა ქურდებმა მინდია გორაძემ და ჯეირან კინწურაშვილმა მ.დ.-ს წალკაში ფულის შეგროვება დაავალეს

შსს-მ 6 პირი დააკავა

## შინდისის გმირთა მემორიალი 20 წლის პირმა დაარბია

გვ.7

მას ფსიქიკური პრობლემები აქვს

## 17 წლის შორენა ანდრიაძე: „როცა მუცელი მომეშალა, ქმარმა სასტიკად მცემა“

გვ.7

გიორგი ლაშხიძის ოჯახი ძალადობას უარყოფს

## ტოტალიზატორის მენეჯერს ფულს სთხოვდნენ და ოჯახზე ძალადობით ემუქრებოდნენ

გვ.6

ISSN 1987-9385

**2** „ირაკლი კობახიძის სახელით ცრუ ინფორმაცია ვრცელდება“

**7** თბილისში ლგბტ აქტივისტებს სცემეს და მოკვლით დაემუქრნენ

**5** ვახტანგ მაისაია: „უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკასთან თანამშრომლობა აუცილებელია“

**4** დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახმა მეუფე დიმიტრის რეზიდენციასთან აქცია გამართა

# „ოცნებამ“ ხალხს ნაციონალების დანაშაულებიც კი დაავიწყა“

შორენა მარსაგიშვილი

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „კვირიკაშვილი გააგდეს, ივანიშვილი ლოგინად ჩააგდეს“

**რა საიდუმლოს მალავენ ბიზნესმენები, როგორ შოულობს ფულს ივანიშვილი, რატომ ემუქრებიან „ოცნების“ ჩინოსნები ერთმანეთს გაუპატიურებით, აქვს თუ არა ადგილი ბიზნესის რეკეტს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**

***– მონიტორინგის ცენტრ „მედიატორს“ კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით არაერთი კვლევა გაქვთ გამოქვეყნებული. ყველა ამ კვლევაზე ხელისუფლებას ასეთი პასუხი ჰქონდა, რომ ეს არის გამოგონილი. ბოლო დღეებში გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა კი ყველას აღიარებინა, რომ კორუფცია უბრალოდ კი არ არის, არამედ ყვავის. „ოცნება“ ახლა მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამაში ივანიშვილი გარეული არ არის.***

– უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც ვამბობთ, რომ ქვეყანაში კორუფცია ყვავის. ოფიციალურად მოწოდებული დოკუმენტებით ვცდილობდით იმის დამტკიცებას, რომ კორუფციაში ხელისუფლების ყველა შტო – პრემიერიდან დაწყებული, რიგითი ჩინოსნით დამთავრებული – არის ჩართული. ამაზე ასეთი პასუხი ჰქონდათ – რაღაცებს იგონებენ, კორუფციას აქ რა უნდა, ჩვენ ხალხზე ვართ ორიენტირებულები და ქვეყნისთვის საჭირო პროექტებს ვახორციელებთო.

წლების განმავლობაში ჩვენ გვეძახდნენ მატყუარებს, მაგრამ გავიდა დრო, „ომეგასთან“ დაკავშირებით გამოქვეყნდა ჩანაწერები და ყველამ დაინახა, თუ რა ხდება ქვეყანაში.

საქართველოში კი კარგი არაფერი ხდება. აქაურობა კორუფციის ჭაობშია ჩაფლული. იმდენი ფულია შეჭმული, რომ ქვეყანა რელსებიდან გადავიდა და უკან-უკან მიგორავს.

***– აქამდე ამბობდით, რომ ქვეყანა გაჩერებული იყო.***

– აქამდე მართლა გაჩერებული იყო. როგორც კი მეოცნებეები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მაშინვე გააჩერეს ქვეყანა. ახლა ეს გაჩერება არ იკმარეს და ქვეყანა უკან დააგორეს.

***– რაში სჭირდებათ, რომ ქვეყანა უკან-უკან დააგორონ? ეს ხომ მათ იმიჯს ურტყამს?***

– მერე, ვინ გითხრათ, რომ იმიჯი ადარდებთ. ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელის ბიჭები ქვეყნის უკან დაგორებით ძალიან დიდ ფულს შოულობენ. მათთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. ივანიშვილსა და მის გარემოცვას საერთოდ არ აინტერესებს, რას იტყვის მათზე ხალხი.

ხალხი კი ღარიბდება და შიმშილობს. ახლა ყველა აღიარებს, რომ 2012 წლის მერე სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა, ქვეყანა, ფაქტობრივად, გაჩერდა. ქვეყნის ბიუჯეტი რამდენიმე ადამიანმა ჩაიგდო ხელში და აღარ იციან, რა გზებით მიითვისონ საბიუჯეტო სახსრები.

პრემიებზე და დანამატებზე არაერთი კვლევა გვაქვს გამოქვეყნებული და ყველამ იცის, რაც ხდება ამ მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ „ოცნების“ ჩინოსნებს პრემია-დანამატებიც აღარ აკმაყოფილებთ და აგერ პარტიისთვის შავი ფონდი შექმნეს. ამ შავი ფონდიდან 50.000 დოლარს უხდიან თვეში ზოგიერთ მინისტრს, რომელიც უსაქმურობის მეტს არაფერს აკეთებს.

ტენდერებიდანაც ხვეტენ დიდ ფულს, სიმსივნესავით მოედო ხელისუფლებას კორუფცია. ქვეყნის განვითარება არავის აინტერესებს, მთავარია, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ფაქტი გავასაჯაროეთ, საზოგადოებას მაინც უჭირდა ამის დაჯერება. ახლა ხალხმა უკვე იცის, როგორი ხელისუფლება ჰყავს. სკანდალურმა ჩანაწერებმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

***– რატომ არ სჯეროდა ხალხს? არ გვყოლია კორუმპირებული ხელისუფლება თუ რა.***

– ამ ხალხისაც მესმის. ძნელია დაიჯერო, რომ შენი ხელისუფლება ასეთ მასშტაბურ კორუფციაშია ჩართული.

***– ცოცხებით გაუპატიურების ამბავი ხომ ძალიან მარტივად დაიჯერეს, რაღა კორუფციის არ სჯეროდათ?***

– ამის დაიჯერეს იმიტომ, რომ კადრები გამოქვეყნდა. ჩანაწერებს მაინც დიდი ძალა აქვს. როგორც ამბობენ, ცოცხით გაუპატიურების კადრები დადგმული იყო, მაგრამ მან საზოგადოებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა და შედეგიც დადგა – არჩევნებზე ხალხმა ნაციონალური მოძრაობა გადაირჩია.

***– ეს სკანდალური ჩანაწერები, რომლებიც ახლა ქვეყნდება, ხალხზე რაიმე გავლენას მოახდენს? მართალია, „ოცნების“ კორუმპირებულობა დაიჯერეს, მაგრამ მაინც ამბობენ, ესენი თუ წავიდნენ, ისევ ნაცები მოვლენ და წამება-გაუპატიურებები დაიწყებაო.***

– რა ნაცები მოვლენ და გააუპატიურებენ? 30 სექტემბერს გამოქვეყნებული ჩანაწერებიდან ჩანს, ვინ ვის ემუქრება გაუპატიურებით. ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ყოფილი მთავარი პროკურორი ყოფილ მინისტრს გაუპატიურებით ემუქრებოდა. მანამდე ეს მინისტრი ცემეს, გააშიშვლეს და სარდაფში გამოკეტეს.

თავიანთ მაღალჩინოსანს რა დღეში აგდებენ და ესენი რიგით ადამიანს რას უზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ. ამიტომაც აღარ იფიქრებს ხალხი იმაზე, ესენი თუ წავლენ, ნაციონალები მოვლენო.

საქართველო ნორმალური ქვეყანა რომ იყოს, ამ ჩანაწერების გასვლის შემდეგ უკვე ბევრი ჩინოსნის წინააღმდეგ აღიძრებოდა საქმე. ჩვენთან კი რა ხდება? „ოცნების“ ჩინოსნები გამოდიან და ამბობენ, რომ თურმე არაფერს არ ნიშნავს, ქონების გადაფორმებას რომ სთხოვენ ბიზნესმენს.

არც ის ყოფილა თურმე მნიშვნელოვანი, საუბრისას ორი ადამიანი მესამის გვარს თუ ახსენებს. დიდი ბოდიში, მაგრამ წინა ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ რატომ აღიძრა საქმეები? საქმეები აღიძრა იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძემ და ირაკლი ოქრუაშვილმა მისცეს ჩვენებები.

***– ოქრუაშვილიც და ბურჯანაძეც მაღალ თანამდებობებზე იყვნენ და მათ ბევრი ინფორმაცია ჰქონდათ.***

– ბევრი ინფორმაცია შეიძლება ჰქონდათ, მაგრამ კონკრეტული ფაქტები არ დაუდიათ. სააკაშვილის და მისი გუნდის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებებში ერთიც და მეორეც ამბობდნენ, რომ ვიღაცისგან რაღაც გაიგეს. ამ ვიღაცისგან გაგებულის გამო მისცეს სააკაშვილი და მისი გარემოცვა პასუხისგებაში.

მიშაზე ყველა ლეგენდას იჯერებდნენ, სამაგიეროდ, არ სჯერათ, რომ ბიზნესის დატერორებაში ბიძინა ივანიშვილი და მისი ძმა არიან ჩართული. არადა, ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ საქმეში ეს ოჯახია გარეული.

***– ივანიშვილს აქვს მილიარდები და რაში უნდა დასჭირვებოდა მას ვიღაცის რამდენიმე მილიონი. თქვენ არ გაგიჩნდათ ასეთი კითხვა?***

– მერე რა, რომ მილიარდები აქვს. თქვენი აზრით, დამატებითი მილიონები აწყენს? არ დაგავიწყდეთ, რომ თავის დროზე სწორედ ამ გზით იშოვა ფული. გამოძალვა და რეკეტი უკვე ხასიათში აქვს გადასული და, რაც არ უნდა ბევრი ფული იშოვოს, ამას თავს ვერ დაანებებს.

რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ ერთ კომპანიას მოსთხოვა 4 თუ 5 მილიონი. სხვა კომპანიებსაც მოსთხოვდა მილიონებს და ასე შეგროვდება დიდი თანხა.

ჩვენ ერთ კონკრეტულ კომპანიაზე განხორციელებულ რეკეტს ვუყურებთ. ასეთი ფაქტი უამრავია.

***– რა ფაქტები, შეგიძლიათ დაასახელოთ?***

– ფაქტების მეტი რა არის, ბადაგონს, ჰაიდელბერგ ცემენტს, აგარის შაქარს იგივე პრობლემები ჰქონდათ, რაც დღეს ომეგას აქვს. ცოტა ხნის წინ ხორბლის იმპორტიორებს მიადგნენ და ეს ბიზნესი ერთმა კაცმა გადაიბარა.

ყველა ბიზნესი, რაც კი საქართველოში წარმოებს, ივანიშვილთან არის დაკავშირებული. საიდანაც ფულის კეთება შეიძლება, ოლიგარქს ყველაფერში აქვს ხელი ჩაყოფილი.

ფულის გარდა რომ სხვა არაფერი აინტერესებს ივანიშვილს, ეს ირაკლი კობახიძემაც დაადასტურა. მან გვითხრა, რომ კანაფის პლანტაციებს აუცილებლად გააშენებენ. ამ ბიზნესით ოლიგარქი დიდ ფულს იშოვის. ხალხი კიდევ უფრო გაღატაკდება, მაგრამ ეს არავის აინტერესებს.

***– ხალხი რომ ღატაკდება, ამას კატეგორიულად უარყოფს პარლამენტის სპიკერი. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ მათი მოსვლის შემდეგ საქართველოში სიღარიბე შემცირდა.***

– რანაირად შემცირდა სიღარიბე? ხალხი ნაგვის ბუნკერებში ეძებს საჭმელს. ვთქვათ, კობახიძის ამის არ სჯერა, ბიძინა ივანიშვილს მაინც დაუჯეროს. ოლიგარქმაც კი აღიარა, რომ ხალხს უჭირს.

როდესაც გიორგი კვირიკაშვილი პრემიერობიდან გააგდეს, ივანიშვილი გამოვიდა და თქვა, ხალხს ძალიან უჭირსო. თავად თქვა, როცა გავიგე, ხალხი ასეთ სიღარიბეში ცხოვრობდა, ლოგინად ჩავვარდი და ორი დღე ვერ ავდექიო.

ვეკითხები პარლამენტის თავმჯდომარეს, თუ ყველაფერი ასე კარგად იყო, ან კვირიკაშვილი რატომ გააგდეთ, ან ბიძინა ივანიშვილი ლოგინად რატომ ჩააგდეთ.

***– ისეთი გამწარებული იყო მაშინ ივანიშვილი, შეიძლება, პოლიტიკაში შემობრუნების შემდეგ გაამდიდრა ქვეყანა და ვერ ვამჩნევთ. სპიკერი ხომ არ მოიტყუებოდა?***

– საკუთარ თავზე თუ ლაპარაკობდა კობახიძე, არ ტყუოდა. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივანიშვილმა და მისმა გარემოცვამ დიდი ფული იშოვეს.

2012 წელს ხელისუფლება იმ სკანდალური ჩანაწერების ეთერში გასვლის შემდეგ შეიცვალა. ახლაც არანაკლებ სკანდალური ჩანაწერებია. ვხედავთ, როგორ ალაგებენ ბიზნესებს და ხალხი თუ მარტო გაუპატიურებაზე რეაგირებს, აქაც არის გაუპატიურების მუქარა. ასე რომ, ახლა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ასე ცხოვრებას.

***– საოცნებო ხელისუფლება ყველა არჩევნების წინ ამბობს, ნაცები მოდიანო. აქამდე ეს ლოზუნგი კარგად მუშაობდა. რა იქნება ახლა?***

– ახლა აღარ გაჭრის ეს. ამის მიზეზებზე ზემოთაც ვისაუბრე, თან ხალხიც დაიღალა ბუაზე ამდენი ლაპარაკით. ისეთ რაღაცებს აკეთებს „ოცნება“, რომ ნაციონალების დროს ჩადენილი დანაშაულებიც კი დაავიწყეს ხალხს. ამ პარტიის მიმართ რაც ნეგატივი იყო, სრულად გააქრეს.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ნაციონალების მიმართ ნეგატივი აღარ არის?***

– საარჩევნო კამპანიას გადახედეთ. ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი იყრის კენჭს პრეზიდენტად. ეს ადამიანები თავისუფლად დადიან ქვეყანაში, ატარებენ შეხვედრებს და არავინ არაფერს ერჩის, სალომე ზურაბიშვილის მიმართ კი საშინელი აგრესიაა. ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს.

***– სკანდალურ ჩანაწერებში არაერთხელ იქნა ნახსენები ვანო ჩხარტიშვილის გვარი. ამ ადამიანის მიმართ საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი განწყობაა და რაში სჭირდება ივანიშვილს გვერდით ასეთი კაცი?***

– ივანიშვილს ისეთი ხალხი სჭირდება, რომლებმაც კარგად იციან, როგორ უნდა დაალაგონ და დაარეკეტონ ბიზნესი. ივანიშვილს ისეთი ხალხი სჭირდება, რომლებიც თავად მოაგვარებენ ყველაფერს და მას წილს აუტანენ. ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალია ვანო ჩხარტიშვილი. ის ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან ყვლეფდა ხალხს.

ჩხარტიშვილები, ფარცხალაძეები და მათნაირები მანამდე იბოგინებენ, სანამ ოლიგარქიული რეჟიმი იქნება. ეს რეჟიმი სანამ იქნება, ბიზნესებსაც აახევენ ხალხს. მინისტრებს გააშიშვლებენ, სარდაფში ჩაკეტავენ და გაუპატიურებით დაემუქრებიან.

იმან, რაც ომეგას თავზე ტრიალებს, დარწმუნებული ვარ, ბევრი ბიზნესმენის კისერზე გადაიარა. ყველა უნდა გამოვიდეს და სიმართლე თქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეკეტი გაგრძელდება.

## „ირაკლი კობახიძის სახელით ცრუ ინფორმაცია ვრცელდება“

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის სახელით ყალბი მისამართიდან ვრცელდება ცრუ ინფორმაცია ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდაჭერის შესახებ.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახური აცხადებს, რომ ეს არის დეზინფორმაცია და მოუწოდებს მედიასაშუალებებს, ნუ შეუწყობენ ხელს ცრუ ინფორმაციის გავრცელებას.

„პირველმა რადიომ“ 30 სექტემბერს ელექტრონული ფოსტით მიიღო შეტყობინება, რომ თითქოსდა პარლამენტის თავმჯდომარე დილით ესაუბრა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი პარტია სალომე ზურაბიშვილს მხარს არ დაუჭერს და მხარდაჭერას ზურაბ ჯაფარიძეს გამოუცხადებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მარგველაშვილმა გადაწყვეტილება თავისუფლების სასარგებლოდ მიიღო“

## რატომ არ იყარა პრეზიდენტმა კენჭი ხელმეორედ

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობას აფასებს.**

***– ბატონო ლევან, პრეზიდენტი მარგველაშვილი საპრეზიდენტო ვადას ასრულებს. მისი წინამორბედები მეორე ვადაზე არასდროს ამბობდნენ უარს, განსხვავებით მარგველაშვილისგან. რატომ თქვა მან მეორე ვადაზე უარი?***

– გიორგი მარგველაშვილი არის ადამიანი, რომლისთვისაც თავისუფლებას ძალიან მაღალი ფასი აქვს, მათ შორის – პიროვნულ თავისუფლებას. მისთვის ჩარჩო, თუნდაც პოლიტიკური, ძალიან არაკომფორტულია, რასაც ის ღიად ამბობდა. არ არის ასეთი მარტივი, როდესაც მას მთელი ცხოვრება ასე გაუტარებია, საქართველოსნაირ განვითარებად ქვეყანაში სრულიად უცხო და შესაძლოა პრინციპების საწინააღმდეგო ცხოვრება დაიწყო. როგორც ჩანს, ეს დილემა, ეს შინაგანი კონფლიქტი მას აწუხებდა და გადაწყვეტილებაც თავისუფლების სასარგებლოდ მიიღო.

თავისუფლების სიყვარული და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა არის ის, რამაც ალბათ განაპირობა პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ მე ვთვლი, მას სერიოზული როლის შესრულება შეეძლო მთელ ამ პროცესებში. პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას.

მიუხედავად იმისა, რომ მან უარი თქვა მეორე ვადით კენჭისყრაზე, მე არ ვფიქრობ, რომ ის სახლში წავა მემუარების საწერად და პასიური ცხოვრებით იცხოვრებს. პარტიული პოლიტიკისა და საერთოდ პოლიტიკის გარეშეც შესაძლებელია საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. იმედი მაქვს, დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მარგველაშვილი დუშეთში თავის ლამაზ ოჯახთან ერთად მხოლოდ სტატიების წერით არ შემოიფარგლება.

***– ფიქრობთ, აქტიური მოქალაქე იქნება?***

– რა თქმა უნდა, ბევრისთვის მაგალითის მიმცემი და საკმაოდ უხერხული სამოქალაქო ოპონენტი ყველა პოლიტიკოსისთვის, ყველა პოლიტიკური გუნდისთვის. საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის ის გარკვეული ორიენტირიც კი შეიძლება იყოს.

გიორგი მარგველაშვილი პოლიტიკაში ჩვენი შემდეგი თაობის პირობებში რომ ყოფილიყო, მისი ადგილი ბევრად უფრო ლოგიკური იქნებოდა. ამ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს პოლიტიკაში თაობათა ცვლა არ მომხდარა და ახალი ღირებულებების, ახალი მისწრაფებების პოლიტიკოსები არ მოსულან, ის მთლად ბუნებრივად ვერ გრძნობდა თავს.

ჩვენი პოლიტიკოსები საბჭოთა და შევარდნაძის დროის პოლიტიკის წარმომადგენლები

არიან. იგივე პოლიტიკური კულტურა, იგივე პოლიტიკური თამაში, იგივე პოლიტიკური მიზანშეწონილობა და ა.შ.

***– გიორგი მარგველაშვილი როგორი პრეზიდენტი იყო?***

– პრეზიდენტი მარგველაშვილი იყო და დარჩება საქართველოს ისტორიაში ერთადერთ პრეზიდენტად, რომლის პირობებშიც ამოქმედდა კონსტიტუციის ეს რედაქცია და შემდეგი პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

რთულ პოლიტიკურ, მართალია, კონსტიტუციურ გარემოში, მაგრამ რთულ პირობებში მან უფრო მეტად, ასე ვიტყოდი, შეძლო ღირსეულად, რყევების გარეშე შეესრულებინა პრეზიდენტის უფლებამოსილება. შეცდომები იყო, არათანმიმდევრული ნაბიჯებიც იყო, მაგრამ მან მაინც ღირსეულად შეასრულა პრეზიდენტის მოვალეობა.

***– გულისხმობთ კანონპროექტებზე დადებულ ვეტოებს და შემდეგ უკვე ხელმოწერილ კანონებს?***

– დიახ. როდესაც სერიოზულ კამპანიას აწარმოებ რაღაცის წინააღმდეგ და შემდეგ მას ხელს აწერ, ეს გაუგებარია და ასახსნელადაც რთულია.

***– კონსტიტუციურ კანონპროექტს გულისხმობთ?***

– არა მხოლოდ. ერთ-ერთი მათგანი საკონსტიტუციო სასამართლოში მე წავიღე და ეს საქმე მოვიგე. იმ კანონთან დაკავშირებით რეალურად პრეზიდენტი და პარლამენტი ერთ მხარეს აღმოჩნდნენ.

***– ისეთი დაპირისპირების ფონზე, რომელიც პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის იყო, ისინი ხშირად ერთ მხარეს აღმოჩნდებოდნენ. თქვენ რა ახსნას უძებნით, აქ ლოგიკას ხედავთ?***

– მე მიჭირდა ყოველთვის ამ ლოგიკის გაგება. ხშირად პრეზიდენტი ვერ ახერხებდა საზოგადოებისთვის ამ ლოგიკის დანახვებასა და ახსნას.

***– საზოგადოების ნაწილს ამ ლოგიკასთან კითხვები ჰქონდა.***

– დიახ. ამის ნათელი მაგალითი იყო თუნდაც კონსტიტუციის რეფორმის პროცესი. მისი ახსნა, რომ ის საკუთარ პრინციპებზე მაღლა სამშობლოს სახელმწიფოებრიობის გამო დადგა, ხშირად გაუგებარი იყო.

***– შეწყალებებთან დაკავშირებით გქონდათ კითხვები, თუ ეს მაინც პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა, რომელიც არანაირ კითხვას არ ექვემდებარება?***

– როდესაც ექსკლუზიურ უფლებაზე ვსაუბრობთ, რომელიც მით უფრო პირდაპირ ადამიანებს უკავშირდება, აქ რთულია საფუძვლიანი კამათი, რადგან ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს.

კონსტიტუციამ პრეზიდენტს, წინამორბედსაც, მოქმედსაც და მომავალსაც, რაც უპირობოდ მიანიჭა, ეს არის შეწყალების უფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და შეზღუდვის გარეშე. მას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა, ეს უფლება თავის თავში გულისხმობს შეზღუდვასაც, რაც მარგველაშვილმა რამდენჯერმე გააკეთა.

***– დეკანოზ მამალაძის შეწყალებაზე უარს გულისხმობთ?***

– დიახ და მერაბიშვილსაც. მან თქვა, რომ შეწყალების კომისია იქნებოდა ფილტრი. ის მაინც ამ ნაწილშიც შეზღუდვის ერთგული რჩებოდა სწორედ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

# ზვიად ქორიძე: „ჟურნალისტის ვალდებულება არ არის, დაიცვას მეპატრონის ბიზნესი“

## „კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, საზმაუს კორუფციაში გახვევს“

იაგო ნაცვლიშვილი

**მედიაში მიმდინარე გამოწვევების, ტელეკომპანია „იბერიაში“ შექმნილი ვითარებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროცესების შესახებ „ახალი თაობა“ ჟურნალისტ ზვიად ქორიძეს ესაუბრა.**

***– როგორ შეაფასებთ ტელეკომპანია „იბერიის“ გარშემო მიმდინარე მოვლენებს, ეს არის მედიაზე ზეწოლა თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე?***

– ზოგადად, მედია მთლიანად უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ იყოს მდგრადი. იმ პროდუქტმა, რომელსაც ქმნის და აწვდის საზოგადოებას, მოუტანოს შემოსავალი. ეს რთული მისაღწევია თანამედროვე პირობებში. ამიტომ ხშირად მესაკუთრე დამატებით ბიზნესს ავითარებს, რომელიც ეხმარება მედიასაშუალებას განვითარებაში. ასეთი რამე ბევრი გვხვდება, მაგრამ ყოველთვის უმჯობესია, რომ ის დამატებითი საქმიანობა დაკავშირებული იყოს იმ საზოგადოებრივ საქმიანობასთან, რომელსაც თავად ემსახურება.

ჩვენს შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, ძირითადად ტრანსფორმაციაში მყოფ ქვეყნებში გვხვდება ასეთი მოდელი, რომ მედიამფლობელი მედიით კი არ იწყებს საქმიანობას და შემდეგ დამატებით ბიზნესს მედიას კი არ ახმარს, არამედ აქვთ დამატებითი ბიზნესი, საკმაოდ შემოსავლიანი და მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია ამ ბიზნესს ბაზარზე და დამატებით საშუალებად ქმნიან მედიას. მათი ინტერესი ნაკლებადაა, რომ მედია განვითარდეს, როგორც მდგრადი ბიზნესი.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედია იყოს მდგრადი. თუ ის ასე ვერ იქნება, მაშინ დამოკიდებული იქნება იმაზე, სხვა ბიზნესს როგორ წარმართავს ეს მედიამფლობელი.

ასეთი პრობლემა რამდენიმე თვის წინ დაუდგა ტელეკომპანია „პირველს“, როცა მის მფლობელს ჰქონდა ასეთივე პრობლემები სხვა ბიზნესში, რომლებიც ასახვას ჰპოვებს მედიასაშუალებაში. იგივეს ვხედავთ „იბერიაშიც“. სხვა ბიზნესში გაუჩნდა მის მფლობელს პრობლემა და ერთი მხრივ ის კონფრონტაციაში შევიდა ხელისუფლებასთან, ხოლო მეორე მხრივ – კორუფციულ გარიგებებში მთავრობასთან.

ის აუდიოჩანაწერები რომელთაც გვთავაზობს „იბერია“, ამაზე მეტყველებს. ეს არ არის მხოლოდ „იბერიის“ პრობლემა, ეს არის თანამედროვე მედიის პრობლემა მთელ მსოფლიოში. ბიზნესში შოულობენ ფულს და ინახავენ ცალკეულ მედიასაშუალებებს. მერე, როდესაც იმ ბიზნესში უჩნდებათ პრობლემა, უმცირდებათ რესურსი მედიასაშუალებისთვის. ამ დროს მედია აღმოჩნდება ჩიხში, ჟურნალისტები ვერ იღებენ ხელფასს, ვერ აკეთებენ სიუჟეტებს და ა.შ.

***– ახსენეთ აუდიოჩანაწერები, სადაც ტელეკომპანიის დათმობის კონტექსტშიც იყო საუბარი.***

– ზუსტადაც. როდესაც არის სხვა ბიზნესები და ტელეკომპანია არის დამატებითი ბიზნესი, ამ შემთხვევაში ტელეკომპანია ასრულებს პოლიტიკური ფარის როლს. როდესაც გარიგებაში შედიან, ისინი სთავაზობენ, რომ მოდი მე მოგიგვარებ პრობლემებს და შენ ამ მედიას თავი დაანებე. ბიზნესმენს იმიტომ აქვს მედია დამატებით, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში უფრო მეტ აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია. გამოჩნდა, რომ როცა „ომეგა ჯგუფთან“ წავიდნენ გარიგებაზე სიგარეტის ბიზნესში, სთავაზობდნენ, რომ მას დაეთმო ტელევიზია, იმიტომ, რომ ხვალ-ზეგ თუ ის ჩათვლიდა, რომ რაღაცა არასწორად წავიდოდა, ისევ არ გამოეყენებინა მედია. მოდით, ასე ვთქვათ, კარტელურად მუშაობენ, მედიის ადგილი კი კარტელებში არ არის. მედიის ფუნქცია არის, ყველა პროცესზე საზოგადოებას მიაწოდოს ბევრი ინფორმაცია და საზოგადოება იყოს ინფორმირებული ყველა პროცესზე და არა მხოლოდ იმაზე, რაც ამ კორპორაციებში შედის.

სატელევიზიო სივრცე მიბმულია და ტრიალებს ბიზნეს და პოლიტიკური ინტერესების ორბიტაზე და არა – დამოუკიდებლად განვითარებაზე. ტელევიზიაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ დღეს ინფორმაციის მთავარ წყაროდ რჩება. უახლოეს ხანებში შეიცვლება, მაგრამ ჯერჯერობით ასეა. კომუნიკაციების გვერდი კარგად აჩვენებს ტენდენციებს. ტელეარხების სარეკლამო

შემოსავლები არის 25%-მდე, დანარჩენი კი მოდის სხვა დაფინანსებაზე. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს არის არალეგალური დაფინანსება.

მე ამას ნიშნისმოგებით კი არ ვამბობ და იმას კი არ ვამბობ, რომ ეს რა კარგია. არა! როგორც ყველა ჟურნალისტი, მეც სოლიდარული ვარ ჟურნალისტების, პროდიუსერებისა და ოპერატორების მიმართ. ტელეკომპანიის სარედაქციო დამოუკიდებლობა უნდა იყოს გარანტირებული. ასეთივე პათოსი გვქონდა ჩვენ რამდენიმე თვის წინ ტელეკომპანია „პირველთან“ მიმართებითაც. დიახ, ჟურნალისტების საქმიანობა სწორედაც ამ სარედაქციო დამოუკიდებლობით უნდა იყოს დაცული. მაგრამ, მეპატრონეს ტელევიზია თავისი ლოკალური ინტერესებისთვის სჭირდება.

ჟურნალისტის ვალდებულება არ არის, რომ დაიცვას მეპატრონის ბიზნესი, ჟურნალისტის მთავარი თემა არ არის, დაიცვას სიგარეტის ბიზნესი. მისი მთავარი თემაა, მომიყვეს სიმართლე, რა ხდება სიგარეტის ბაზარზე.

მედიამფლობელი დღეს გვასმენინებს ჩანაწერს, მაგრამ ის ხომ დღეს გაკეთებული ჩანაწერი არ არის?! ეს არის რამდენიმე თვის წინ, შეიძლება რამდენიმე წლის წინ გაკეთებული ჩანაწერიც. ამაზე ინფორმაციას არ მაწვდიან მანამ, სანამ მფლობელს არ გაუჩნდა პრობლემა ვალების დაფარვის მხრივ. რესტრუქტურიზაციის პრობლემა რომ მოგვარებულიყო, ჩვენ ხომ ამ ჩანაწერს ვერასდროს ვერ მოვისმენდით?

აქ უნდა დაუსვან კითხვა ჟურნალისტებმა მფლობელს, რომ ისინი უნდა მოუყვნენ საზოგადოებას, რა ხდება რეალურად და არა ის, რაც მფლობელის ლოკალურ ინტერესებში შედის.

ამით სარედაქციო დამოუკიდებლობაც იზღუდება. ეს არის პროცესი, როცა მედია მზადაა, თვითშეზღუდვა განახორციელოს ან მის დამოუკიდებლობაზე ასეთი ტიპის პრესინგი განახორციელოს მეპატრონემაც, მთავრობამაც და ყველამაც. ეს არ უნდა დავუშვათ ჩვენ.

***– დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე რისი გაკეთება შეუძლიათ ჟურნალისტებს?***

– რა რეალობაც არ უნდა გვქონდეს, ის არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში მთავარ ფუნდამენტურ პროფესიულ სტანდარტებთან. ჟურნალისტები უნდა იყვნენ მაქსიმალურად მიუკერძოებლები და მებრძოლები, რომ მოიპოვონ ინფორმაცია, მიაწოდონ საზოგადოებას და იყვნენ ღია.

თუმცა, მეორე მხარეა მოთხოვნა, დათმონ ტელევიზია. მთავრობიდან მიგზავნილი ემისრების მხრიდან ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ზეწოლაა. ეს უნდა დავგმოთ ყველამ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მედიის მფლობელი ასეთი ტიპის გარიგებებზე არასოდეს არ დაჯდეს. თუ ამაზე მიდის, უნდა ხვდებოდეს, რომ ძალიან დიდი რისკის ქვეშ დააყენებს ჟურნალისტებს.

***– „იბერიაში“ შექმნილი ვითარება ქართულ მედიაში არ არის ერთადერთი პრობლემა. ვნახეთ, რა პროცესებთან გვქონდა საქმე საზოგადოებრივ მაუწყებელში.***

– ეს კიდევ სხვა თემაა, იქ სხვა ტიპის პრობლემებია. აქამდე ჯერ არ მივსულვართ, რომ კარტელური შეთანხმებები ყოფილიყო, მაგრამ, რაც ხდება, ის ცალკე განხილვის თემაა.

***– საზოგადოებრივთან დაკავშირებით რა კითხვები გიჩნდებათ?***

– ამ თემაზე ვსაუბრობთ საჯაროდაც და ვესაუბრებით ყველა აქტორს. არ შეიძლება, მაუწყებელი დაშორდეს ასე რადიკალურად და დიამეტრულად თავის მისიას. ვერ ჩამოაყალიბოს მკაფიოდ თავისი პროგრამული პრიორიტეტები, ვერ განსაზღვროს შრომის პოლიტიკა, რამდენი ადამიანი სჭირდება და რამდენი – არა. რომ არ სჭირდება, რატომ არ სჭირდება. აქვს 44 მილიონი და კიდევ 43 მილიონს ითხოვს სამეურ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რას გვპტყუებენ საპრეზიდენტო კანდიდატები

28 ოქტომბერს (არსებული კონსტიტუციით) საქართველოს მოქალაქეები პირდაპირი გზით ბოლოჯერ აირჩევენ საკუთარ პრეზიდენტს. კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი სიმბოლური ფიგურა ხდება – შეზღუდული უფლებამოსილებებითა და არბიტრის ფუნქციით, რომელსაც ის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის შეასრულებს. ამ ფონზე, საინტერესოა, რამდენად რეალურად გამოიყურება ის დაპირებები, რომლებსაც საპრეზიდენტო კანდიდატები გასცემენ.

## „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი

– ვაპირებ ჯარები, რომელიც ერთხელ გავიყვანე ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხელახლა გავიყვანო, – ეს მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი დაპირებაა. ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აღმასრულებელი ხელისუფლება აწარმოებს, პრეზიდენტს მასში მონაწილეობა არ ეკრძალება, თუმცა დეოკუპაცია ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო კამპანია დიდი ჯიხაიშიდან დაიწყო, სადაც პრიორიტეტებს შორის ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, ემიგრანტები და რეგიონების განვითარება დაასახელა. თუმცა, ყველა ამ საკითხზე აღმასრულებელი ხელისუფლება ზრუნავს, მის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს კი, თუ რა თანხა უნდა დაიხარჯოს ამ სექტორებზე, პარლამენტი ამტკიცებს.

## „ევროპული საქართველო“ – საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე

დავით ბაქრაძე ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებამდე დახმარებას ჰპირდება, კერძოდ, ლეგალურ სამსახურს, მაღალ ხელფასს, დაზღვევასა და დაცულობას. ემიგრანტებზე ზრუნვა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქცია იყო, მისი გაუქმების შემდეგ კი, ეს ფუნქცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეითავსა, ასე რომ, ეს საკითხი პრეზიდენტის უფლებამოსილებაში არ შედის. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელების უფლება აქვს, თუმცა, ესეც მხოლოდ მთავრობის თანხმობით ან წარდგინებით.

დავით ბაქრაძის კიდევ ერთი დაპირება პენსიის 50 ლარით გაზრდა და სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ზრუნვაა, თუმცა, კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს პენსიის გაზრდა არ შეუძლია და არც სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ზრუნვის რაიმე ბერკეტი აქვს. ამ საკითხებზე გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება კი პრეზიდენტს არ აქვს.

## „ძალა ერთობაშია“ – გრიგოლ ვაშაძე

კონსტიტუციით აიკრძალება ნარკოტიკული მცენარეების მოყვანა; პენსია გაიზრდება 400 ლარამდე; მასწავლებლის ხელფასი – 1000 ლარამდე; გამოცხადდება მორატორიუმი უსამართლო კრედიტების გადახდაზე; კრედიტების მოცულობა განისაზღვრება 2012 წელს არსებული ლარის კურსით – კონსტიტუციაში ცვლილებები პარლამენტს შეაქვს, პენსიების გაზრდა, როგორც უკვე ვთქვით, პრეზიდენტის უფლებამოსილებებში არ შედის, არც მასწავლებელთა ხელფასის მომატება შეუძლია პრეზიდენტს, რადგან პედაგოგები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და ბიუჯეტს პარლამენტი ამტკიცებს, პრეზიდენტს კი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ აქვს, მას ასევე არ აქვს უფლება, რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს კრედიტებთან დაკავშირებით, რადგან საბანკო საქმიანობა ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშაა. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებებს ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა შერჩევა-ინიცირება პრეზიდენტის დისკრეცია იყო ყოველთვის და ახალი კონსტიტუციითაც ასეა.

პრეზიდენტი ეროვნული ბანკის მმართველი საბჭოს წარდგენასა და ბანკის პრეზიდენტის დანიშვნასა და გათავისუფლებაში მონაწილეობს, თუმცა, მის მიერ წარდგენილი ეროვნული ბანკის წევრები პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტად უნდა დანიშნოს პირი, რომელსაც მას ბანკის მმართველი საბჭო წარუდგენს.

## „შენების მოძრაობის“ კანდიდატი დავით უსუფაშვილი

დავით უსუფაშვილს იმედი აქვს, რომ მისი ვეტო ქმედითი იქნება, თუმცა, როგორც ვთქვით, სურვილის შემთხვევაში, ვეტო დაძლევადია. უსუფაშვილი გვპირდება, რომ ხელს შეუწყობს საქმიან ურთიერთობებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებთან და სახელმწიფო თანამდებობის პირებთან – კონსტიტუციით მას ეს ფუნქცია აქვს.

ის ასევე გვპირდება, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში კონსტიტუციური წესრიგის ანაბანას განუმარტავს საჯარო მოხელეებს, რომლებიც „პატრიარქის სურათებით კეკლუცობენ და პიარს იკეთებენ და არც მის კალთას ეფარდებოდნენ, როცა მძიმე გადაწყვეტილებებია მისაღები,“ – კონსტიტუციით მას მსგავსი მიმართვის გაკეთების უფლება აქვს. მის საჯარო გამოსვლებში სხვა რაიმე კონკრეტული დაპირების პოვნა გაგვიჭირდა.

## „გირჩი“ – ზურაბ ჯაფარიძე

ზურაბ ჯაფარიძე, არჩევის შემთხვევაში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას, თავდაცვის დაფინანსების გაორმაგებას, ნარკოდანაშაულის გამო დაპატიმრებულების შეწყალებას, ვეტოს უფლებით თავისუფლების შემზღუდავი კანონების შეჩერებას გვპირდება.

მართალია, კონსტიტუციის ახალი რედაქცია ქვეყანაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის უპირობო არსებობას აღარ მოითხოვს, თუმცა სამხედრო სამსახურის გავლის წესს კანონი ადგენს, რომლის მიხედვით, სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიულ), კადრის სამხედრო სამსახურებად და რეზერვად. კანონის მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახური შეიძლება მოქალაქემ მოიხადოს საკონტრაქტო სამსახურის ან საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახითაც. კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, პრეზიდენტი კვლავაც არის მთავარსარდალი, თუმცა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას კანონში ცვლილებები დასჭირდება, რაც პარლამენტს შეუძლია. აქაც პრეზიდენტს მხოლოდ ვეტოს უფლება აქვს დარჩენილი, გასათვალისწინებელია, რომ საპარლამენტო უმრავლესობას პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა შეუძლია. ამასთან, პრეზიდენტის უფლებამოსილებებში არ შედის არც თავდაცვის ბიუჯეტის განსაზღვრა. რაც შეეხება პატიმრების შეწყალების უფლებას, ახალი კონსტიტუციით ის კვლავაც აქვს პრეზიდენტს.

## „ლეიბორისტული პარტია“ – შალვა ნათელაშვილი

შალვა ნათელაშვილი ამომრჩეველს საგანმანათლებლო პროგრამების საპრეზიდენტო ფონდიდან დაფინანსებას, სამეცნიერო კვლევითი აკადემიური პროგრამების მხარდაჭერას ჰპირდება – ეს დაპირებები, სურვილის შემთხვევაში, შესრულებადია.

შალვა ნათელაშვილი ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას გვპირდება, რაც როგორც ზემოთ ვთქვით, პრეზიდენტზე არაა დამოკიდებული. ამასთან, შალვა ნათელაშვილი ამბობს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს. თუმცა, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს მხოლოდ ორ შემთხვევაში ნიშნავს: თუ საკანონმდებლო ორგანომ მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა ან ბიუჯეტთან დაკავშირებით ვერ ხერხდება თანხმობის მიღწევა.

**ფორტუნა.გე**

# „მეუფეო, შეწყვიტე დუმილი, თქვი სიმართლე“

## დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახმა მეუფე დიმიტრის რეზიდენციასთან აქცია გამართა

**შორენა მარსაგიშვილი**

დეკანოზი გიორგი მამალაძე ისევ პატიმარია. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მის შეწყალებაზე უარი თქვა. პატიმრობაში მყოფ დეკანოზის ოჯახს მეუფე დიმიტრის იმედი ჰქონდა. მეუფე დიმიტრი ამ საკითხზე საერთოდ არ საუბრობს. მან დეკანოზი საპატიმრო დაწესებულებაში მხოლოდ ერთხელ მოინახულა და, როგორც ამბობენ, მათ შორის მძიმე საუბარი შედგა.

პრეზიდენტის უარის შემდეგ დეკანოზის ოჯახმა და ახლობლებმა გადაწყვიტეს, სამართალი სხვა გზით ეძებონ. გუშინ, 30 სექტემბერს, მათ მეუფე დიმიტრის რეზიდენციასთან აქცია გამართეს. ისინი მეუფეს სიმართლის თქმას სთხოვენ.

აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგები – „მეუფეო, შეწყვიტე დუმილი, თქვი სიმართლე“, „მღვდელმთავარს მხოლოდ უფლის შიში მართებს“.

დეკანოზის ძმის თორნიკე მამალაძის განცხადებით, მეუფე დიმიტრიმ ყველაზე კარგად იცის, თუ რატომ იხდის სასჯელს მამა გიორგი და მან სიმართლე უნდა თქვას.

იმ შემთხვევაში, თუ მეუფე დიმიტრი სიმართლეს არ იტყვის, დეკანოზის ახლობლები უფრო დიდი აქციის გამართვას აპირებენ.

– აქ შევიკრიბეთ, რადგან ეპარქიის მმართველს, მეუფე დიმიტრის შევახსენეთ, რომ სასულიერო პირი უდანაშაულოდ ზის ციხეში და არანაირი რეაგირება არ ხდება ეპარქიის მხრიდან, ელემენტარული მოკითხვაც კი. მეუფე დიმიტრიმ ყველაზე კარგად იცის, რის გამოც ზის გიორგი მამალაძე ციხეში და იცის, რომ ის არის უდანაშაულო. თუ ამას რეაგირება არ მოჰყვება, ჩვენ ფართომასშტაბიან აქციებს ვგეგმავთ. აქამდე გიორგი ბათუმის ეპარქიას შანსს აძლევდა, რომ ელემენტარული ნაბიჯი გადაიდგმებოდა უდანაშაულო დეკანოზის დაცვისთვის, – თქვა თორნიკე მამალაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ აქციაზე ცოტა ხალხი იყო, აქცია ხმაურიანი გამოვიდა. მამალაძეებთან შესახვედრად მეუფე დიმიტრის წარმომადგენელი მამა იოანე გამოვიდა. მან დეკანოზის ძმას ტონი დაუწუნა და ყვირილის გამო უსაყვედურა.

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას? – ჰკითხა სასულიერო პირს დეკანოზის ძმამ.

ამაზე მას მამა იოანემ ვერ უპასუხა, მაგრამ უსაყვედურა რომ პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევდა.

მისი პასუხი დეკანოზის ოჯახისთვის არადამაკმაყოფილებელი გამოდგა. მათ მამა იოანეს მატყუარა უწოდეს.

❖ ❖ ❖

მეუფე დიმიტრისგან დეკანოზის ოჯახმა პასუხი ვერ მიიღო, რადგანაც ის საქართველოში არ აღმოჩნდა. მამა იონეს განცხადებით, მეუფე დიმიტრი სამკურნალოდ გერმანიაშია წასული.

# ზვიად ქორიძე: „ჟურნალისტის ვალდებულება არ არის, დაიცვას მეპატრონის ბიზნესი“

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

ვეო საბჭოსგან ნებართვის სახით, რომ ბანკებთან დაიწყოს მოლაპარაკებები კრედიტის აღებაზე.

კითხვები ჩნდება სარედაქციო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებითაც. იმიტომ, რომ ჟურნალისტები და პროდიუსერები, რომლებსაც ტოვებენ თამაშგარე მდგომარეობაში, საკმაოდ მაღალკვალიფიციურები არიან, ამიტომ მათი გაყრა არ იქნებოდა სწორი მიდგომა.

ჯერ მაღლაფერიძეს უნდოდა შტატების მინიმუმამდე დაყვანა, მერე აღმოჩნდა, რომ „ჯი-დი-ეს-იდან“ გადმოიყვანეს თანამშრომლები, ახლა წელიწად-ნახევრის თავზე მაღლაფერიძის ახალი ინიციატივაა, რომ ახლა უნდა მოხდეს შტატების ოპტიმიზაცია, ოღონდ უნდა გაუშვას არა ის ხალხი, ვინც 2017 წლიდან მიიღო, არამედ ვინც აქამდე იყო. ანუ აქ პოლიტიკური კომპონენტი ჩანს.

აღარაფერს ვამბობ იმ კანონპროექტის მიღებაზე, რომელიც გაზაფხულზე მკლავის გადაქაჩვის პრინციპით პარლამენტმა მიიღო და რისკი გაჩნდა საზმაუში.

***– რას გულისხმობთ?***

– კანონის მიღებას, რომლითაც პარლამენტმა მაუწყებელს მისცა რეკლამისა და სპონსორობის უფლება. ეს იყო კორუფციული ბუნების კანონი და ის აუცილებლად გახვევს საზოგადოებრივ მაუწყებელში კორუფციაში.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– საზმაუ უნდა იყოს დაცული კომერციული ინტერესებისგან. აქ როცა განუსაზღვრელი რაოდენობით უშვებ რეკლამას და სპონსორებს, გაჩნდება რისკი. ეს გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატიდან, როცა ფული მოდის შვილობილი კომპანიების მეშვეობით. პირველადი ინფორმაციები იყო გამოქვეყნებული. მესამე კვარტლის შემდეგ სრული სახით დავინახავთ, რა თანხები და რა გზებით შევიდა მაუწყებელში. მას სურს, დაფაროს იმ კომპანიების ვინაობა, საიდანაც შევიდა ფული. გადაცემები შეიძლება მოხდეს სპონსორობისა და ირიბად პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ. ეს არ უნდა მომხდარიყო მაუწყებელში.

***– გვესმის ხელისუფლებისგან ჟურნალისტების მიმართ კრიტიკა, რა კითხვა უნდა დასვან და რა აქცენტები გააკეთონ. ასევე გვამადლიან, რომ მედია დღეს თავისუფალია, განსხვავებით წინა მმართველობისგან. გვაქვს გაცილებით უკეთესი ვითარება?***

– ჩვენ ორ თემას შევეხეთ, „იბერიისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის, მაგრამ ორივე თემაში სხვადასხვა ფორმით არის მოცემული სარედაქციო დამოუკიდებლობა. ყველა მედიასაშუალებაში არიან ჟურნალისტები, რომლებმაც იციან ჟურნალისტიკა. სხვა საკითხია, როცა გარკვეულ ეთიკურ დათმობებზე მიდიან. ამ დროს მათ სარედაქციო დამოუკიდებლობაზე ხდება პირდაპირი ან ირიბი ზეგავლენა. ამ დროს ჩვენ მედია არ მოგვწონს და ამას ვიღაცა აქეთ გვაყვედრის.

დღეს ჟურნალისტიკა კარგ დონეზეა. ძალიან ბევრი მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი გვყავს. ვხედავთ პერიოდულად მცდარ ინფორმაციებს და გვიჩნდება კითხვა, რატომ გააკეთა ეს ამ ჟურნალისტმა – მან არ იცის, თუ მასზე ხორციელდება ზეწოლა. არის შემთხვევები, მას რომ ეს არ გაეკეთებინა, მას გაუშვებდნენ სამსახურიდან. როცა უშვებენ, მერე იწყებენ საუბარს, მაგრამ სარედაქციო დამოუკიდებლობა არის პროცესი, მთავარი ამ პროცესში არის ის, რომ ჟურნალისტმა და პროდიუსერმა არ დაუმალონ საზოგადოებას, რომ მათზე ხდება ზეგავლენა პოლიტიკური ან კომერციული მიზნით თუ სხვა მეთოდებით.

ეს სტანდარტები თავად ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან პოლიტიკოსებისგან, ბიზნესმენებისგან, მათ შორის მესაკუთრეებისგანაც, ასევე იმ კოლეგებისგანაც, ვინც შეიძლება დანებდნენ იმას, რომ პროფესიული სტანდარტები დაკნინდეს.

ეს რთული მისაღწევია, მაგრამ ჩვენ ხომ იოლი მედია არ გვინდა! ჟურნალისტიკა ერთ-ერთი რთული მეცნიერებაა, მაგრამ ჩვენ ამ პრინციპებიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ და ამ შემთხვევაში ვერავინ წამოგვაძახებს, რომ ასეთი ჟურნალისტიკა გვაქვს.

ღიაობის შემთხვევაში გარწმუნებთ, რომ გაცილებით უკეთესი ბიზნესგარემო იქნება ქვეყანაში და გაცილებით უკეთესი პოლიტიკური გარემო გვექნება. სააკაშვილის დროს უკეთესი იყო თუ დღეს, ან შევარდნაძის დროს, ეს არ არის სწორი ინდიკატორი. მედიის მდგომარეობა ასე არ იზომება. 7-8 წლის წინ ერთი და იგივე სიუჟეტები და კადრები რომ არ მოგვწონდა, დღეს არ წავიდეთ ამ გზით! ისე არ გავაკეთოთ, რომ როდესაც ჟურნალისტი სტუდიაში მოიწვევს პოლიტიკოსს და მას ფურცელზე დაწერილი „მესიჯბოქსი“ აქვს, ის ფურცელი ჟურნალისტსაც არ ედოს მაგიდაზე. იმ ტექსტების გამმეორებელი არ იყოს, რომლითაც პოლიტიკოსი საუბრობს. იყო ასეთი შემთხვევაც.

# ვახტანგ მაისაია: „უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკასთან თანამშრომლობა აუცილებელია“

**ახლახან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ინციდენტებზე რეაგირების კუთხით წამყვან უწყებად დასახელდა.**

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ სუსი, ზოგადად, კარგად არის აღჭურვილი და მომზადებული. მთლიანობაში კი მთავრობას მნიშვნელოვნად აქვს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე.**

**თავის მხრივ, ჩვენი მეზობელი რუსეთი უკმაყოფილოა საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის არსებობითა და ამერიკელების აქ მუშაობით. „ახალ თაობასთან“ საუბარში ექსპერტი სამხედრო, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ რუსეთს სინამდვილეში საქართველოს ლიბანიზაცია სურს.**

გულიკო ბალაძე

– რუსეთი თითქოს ლუგარის ლაბორატორიის გამოა შეშფოთებული, სინამდვილეში ახალ სამხედრო დოქტრინაში წერს, რომ არ დაუშვებს ამერიკის სამხედრო ინფრასტრუქტურების განთავსებას მის მეზობელ ქვეყნებში და, თუ საჭირო გახდა, სამხედრო ძალასაც გამოიყენებს, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

***– ბატონო ვახტანგ, ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების მუშაობა დადებითად შეაფასეს, თქვეს, რომ მათ შეუძლიათ გამოწვევებთან გამკლავება. თქვენ როგორ აფასებთ ამ განცხადებასა და ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობას?***

– სახელმწიფო დეპარტამენტს მხედველობაში ჰქონდა ჩვენი უსაფრთხოების სამსახურების ანტიტერორისტული საქმიანობა და საერთაშორისო რანგის ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა. ასევე, საქართველო რამდენად შეესაბამება ტერორისტებისაგან დაცულ ტერიტორიას. ქართული მხარე ტერორიზმის საკითხებზე მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სამსახურებთან. არაერთი ოპერაცია ჩატარებულა ერთობლივი თანამშრომლობით, მათ შორის, ამერიკის, თურქეთის, რუსეთის სამსახურების მონაწილეობით, რაც დადებითი მომენტია.

სახელმწიფო დეპარტამენტი ამას აფასებს, რადგან ტერორიზმს არ აქვს საზღვრები, საშიში გამოვლინებაა. ის ყველას ეხება. ამ მხრივ საქართველოს დადებითი მომენტები აქვს. მთავარია, როგორ თანამშრომლობენ ჩვენი სპეცსამსახურები ამერიკელებთან და როგორ ითვალისწინებენ მათ მითითებებსა და რეკომენდაციებს. აქ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა. ჩატაევი და მისი თანმხლები პირები საერთაშორისო ტერორისტების სიაში იყვნენ შეტანილი.

***– ჩატაევისა და მისი ორი თანმხლები პირის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის წარმატებით დასრულების გამო შეაფასეს ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობა დადებითად?***

– დიახ. საერთაშორისო დონის ტერორისტების ლიკვიდაცია ითვლება ყველაზე წარმატებულ ფაქტად. ერთი ტერორისტიც რომ იყოს, საკმარისია იმისთვის, რომ დადებითი შეფასება მოჰყვეს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან და სხვა ქვეყნებისგან, რომლებსაც ამ სფეროში მეტი გამოცდილება გააჩნიათ, იციან, რაზეც არის საუბარი. ამიტომ მათ მოსაზრებას ვეთანხმები.

შემდგომში სხვა სპეცოპერაციებიც ჩატარდა, თუმცა, ერთ-ერთი სპეცოპერაცია ძალიან ცუდად დასრულდა. კერძოდ, თემირლან მაჩალიკაშვილის დაღუპვა ჩვენი სპეცსამსახურებისთვის შავი ლაქაა. ეს პირდაპირ შემიძლია გითხრათ. მე გამოვდივარ იურიდიული მომენტიდან, ამ ახალგაზრდა ბიჭს დღესაც არ აქვს წაყენებული ტერორიზმის ბრალდება, ამიტომ იურიდიულად ეს ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება. რა აღმოაჩინეს და რა არ არის აღმოჩენილი, საერთოდ არ მაინტერესებს. ამის დაშვება დაბალი დონის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ეს არასერიოზული მომენტია.

***– თუ შეცდომა იყო, ამის აღიარება რას ვნებს ჩვენს სპეცსამსახურებს? შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს.***

– რასაკვირველია.

***– თუ შეცდომა მოუვიდათ, რატომ არ აღიარებენ?***

– მე არ ვამბობ, რომ შეგნებულად გააკეთეს. ბუნებრივია, შეცდომა იყო, პროფესიული შეცდომა. გამოძიება უნდა ჩატარდეს. გამოძიებამ უნდა დაადგინოს ამ შეცდომის რეალური წიაღსვლების მთელი პარამეტრი და სიღრმე. შეცდომა რომ იყო, ფაქტია. ამიტომ ამ შეცდომის აღიარება აუცილებელი მომენტია, რათა ტერორიზმთან ბრძოლა გაგრძელდეს და ჩირქი არ მოეცხოს პოზიტიურ მოვლენებს, მართლა პროფესიონალურად ჩატარებულ სპეცოპერაციებს, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა.

შეცდომის აღიარება, ბოდიშის მოხდა (თუმცა, ბოდიში არ შველის) და დამნაშავეების დასჯა, არა მგონია, ღირსების მუნდირის შელახვა იყოს.

***– თემირლან მაჩალიკაშვილის მამა დიდი ხანია ითხოვს, შეცდომა იქნეს აღიარებული, დამნაშავე კი – დასჯილი. ასეთი გაურკვეველი ფაქტები სახელმწიფოს უსაფრთხოებას პრობლემებს არ უქმნის?***

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ფაქტობრივად, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ხელყოფს. ფაქტია, რომ მაჩალიკაშვილს ამ წუთამდე ტერორიზმის ბრალდება არ აქვს წაყენებული. შეიძლებოდა, მას წაყენებული ჰქონოდა ბრალდება, ჰქონოდათ მტკიცებულებები, რომლებიც ამ ბრალდებას გაამყარებდა, მაგრამ ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც – მეორე, რომ ვთქვათ, მაჩალიკაშვილი ტერორისტი იყო. ამას ვამბობ, როგორც ამ დარგის სპეციალისტი.

ამ დარგის სპეციალისტი რომ არ ვიყო, შეიძლება, ინსინუაციური გარემოებებიდან გამომდინარე მეთქვა, რომ მაჩალიკაშვილი მართლა ტერორისტი იყო. რადგან მე ამ დარგის საერთაშორისო დონის სპეციალისტი ვარ, საკუთარ თავს არ მივაყენებ შეურაცხყოფას და არ ვიტყვი, რომ მაჩალიკაშვილი ტერორისტი იყო.

***– ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობაზე ამერიკელების განცხადებას რომ დავუბრუნდეთ – ამერიკელები ჩვენს სპეცსამსახურებს ეხმარებიან?***

– რა თქმა უნდა. ითქვა კიდეც, რომ ჩატაევთან დაკავშირებით ჩატარებული სპეცოპერაცია რამდენიმე ქვეყნის მიერ იყო დაგეგმილი. ქართული მხარე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიტერორისტულ საქმიანობაში და ამ კუთხით მაღალი დონის ჩართულობამ, ბუნებრივია, შედეგი მოიტანა, ვგულისხმობ ჩატაევთან დაკავშირებულ სპეცოპერაციას.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს სპეცსამსახურებს შეუძლიათ მაღალი დონის საფრთხეების აცილება და გარკვეულ შემთხვევებში მათთან გამკლავება?***

– ამ ეტაპზე, კი ბატონო. აქამდე ჩატარდა პრევენციული ტიპის ოპერაცია. მომავალში რამდენად მოხდება პრევენცია, რომ ქვეყანას ტერაქტები ავარიდოთ, არ ვიცი. მადლობა ღმერთს, საქართველოში ტერაქტები არ განხორციელდა. ესეც პოზიტიური მინიშნებაა.

მესამე კრიტერიუმი, რის გამოც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობა დადებითად შეაფასა, ის არის, რომ საქართველოში საბრძოლო-ტაქტიკური ტიპის ტერაქტები არ განხორციელებულა, არც – კიბერშეტევა. დამიჯერეთ, ესეც პოზიტიურია. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ანტიტერორისტული ბრძოლის კუთხით მაღალ შეფასებას იმსახურებს. ეს პოზიტივიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ.

***– ისლამური სახელმწიფო საფრთხეებს კიდევ ქმნის?***

– დაეშის ფაქტორი სირიის ტერიტორიაზე ბოლომდე არ არის განეიტრალებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოზიციები შესუსტდა, ჯერ კიდევ ძლიერად გრძნობენ თავს. მისი ნეიტრალიზაცია არ განხორციელებულა. მათ ტერაქტი განახორციელეს ირანის ტერიტორიაზე. ისინი აპირებენ, ტერაქტების ტალღა ცენტრალურ აზიაში გადაიტანონ. ასე რომ, დაეშის ფაქტორები შემცირდა, მაგრამ მის რეალურ განადგურებამდე ჯერ შორს ვართ.

***– ბოლო დროს განხორციელებულ ტერაქტს ირანელები ხომ ამერიკელებს აბრალებენ?***

– ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა საკუთარ თავზე აიღეს და აჩვენეს შაჰიდები, რომლებმაც ირანში ტერაქტი განახორციელეს. შემდეგ კიდევ გააკეთეს განცხადება, რომ ირანის ტერაქტი ისლამურ სახალიფოს უკავშირდება.

***– მოგეხსენებათ, ჩვენგან დაეშის რიგებში ბევრი იყო. ეს რა საფრთხეებს ქმნის?***

– საქართველოში გარკვეული მიძინებული ქსელებია. ეს მიძინებული ქსელები როდის ამოქმედდება, არავინ იცის. იმის თქმა, რომ დაეშისაგან მომავალი საფრთხე ბოლომდე აღმოიფხვრა, არ შეიძლება.

***– ანუ უსაფრთხოების საკითხებში ამერიკასთან თანამშრომლობა აუცილებელია?***

– დიახ, უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკასთან თანამშრომლობა აუცილებელია და მომავალშიც უნდა ვითანამშრომლოთ.

# დაემუქრება თუ არა საქართველოს სირიელი ლტოლვილების ახალი ტალღა?

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე თვის წინ მიღწეული შეთანხმება სირიელი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების შესახებ არც ისე ადვილი შესასრულებელი აღმოჩნდა. სირიაში მშვიდობა ბოლომდე ვერ დამყარდა. გარდა ამისა, სირიელები გაურბიან ასადის რეჟიმს, რომელიც რუსეთის დახმარებით იბრუნებს პოზიციებს. არსებობს ლტოლვილების ახალი ტალღის გაჩენის საფრთხე, რაც შეიძლება მეზობელ სახელმწიფოებს შეეხოს.**

ფრანგი ექსპერტების ინფორმაციით, სირიაში პოლიციური რეჟიმი ბრუნდება. ამ ქვეყანაში ნორმალიზაცია ნიშნავს ადგილობრივი სპეცსამსახურების გააქტიურებას. სირიაში დაჭერები გახშირდა. ბაშარ ასადის რეჟიმი ზოგს დაშლილი და განდევნილი ისლამური სახელმწიფოს წევრობას ედავება, ზოგს – ისრაელთან თანამშრომლობას, ხალხის ნაწილს ფულის გაფლანგვის ან სხვა საბაბით აპატიმრებენ. ამ რეპრესიების მთავარი მიზეზი სირიის რეჟიმის ოპოზიციონერობა და ამბოხებასთან კავშირია.

რუსეთის, თურქეთისა და ირანის ერთობლივი გადაწყვეტილებით, 15 ოქტომბრიდან იდლიბის პროვინციაში იქმნება დემილიტარიზებული ზონა. ამან უნდა შეაკავოს ლტოლვილების ახალი ტალღა.

თუმცა, ბევრი ექსპერტი და მოხელე უარესი სცენარების განვითარებას ვარაუდობენ.

საშიშ პროცესებს მოელის ანკარა, რომელიც აცხადებს, რომ ლტოლვილთა ახალი ტალღის გაჩენის შემთხვევაში თურქეთი მას ვეღარ შეაკავებს. ყველა ლტოლვილს უკვე ევროპაც ვერ მასპინძლობს. გარდა ამისა, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ხელისუფლებაში მოვიდნენ ულტრანაციონალისტები, რომლებიც ლტოლვილთა მიღების აკრძალვას ემხრობიან.

ამ სიტუაციაში ევროკავშირი ლტოლვილების განთავსებას სხვა ქვეყნებს სთხოვს. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო. თუ ეს მოხდა, დიდი ალბათობით, მოსახლეობა ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაციიდან ვერ შეიტყობს. საქართველოს ხელისუფლება, როგორც წესი, ხალხს ბევრ რამეზე საქმის კურსში არ აყენებს.

თურქეთი ახალ ლტოლვილებს ვერ მიიღებს. მას ძველი დევნილების მომსახურებაც უძნელდება. ამის თაობაზე თურქეთის პრეზიდენტი გერმანიის კანცლერთან თავისი მომავალი შეხვედრისას ისაუბრებს.

მანამდე თურქეთის პოზიცია მედიაში გახმაურდა. 7 წლის განმავლობაში თურქეთმა მიიღო 3,5 მილიონ სირიელ ლტოლვილზე მეტი. ისინი უზრუნველყოფილი არიან უფასო სამედიცინო მომსახურებით. სირიელი ბავშვები სწავლობენ თურქეთის სკოლებში. ეს ჰუმანიტარული პროგრამა ანკარას 35 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ეს თურქი გადამხდელების ფულია. გაეროს დახმარებამ თურქეთში განთავსებული სირიელებისათვის შეადგინა მხოლოდ 600 მილიონი დოლარი.

ანკარას ლტოლვილებისთვის თანხებს ევროკავშირიც დაჰპირდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, დაპირებული 6 მილიარდი ევროს გადმორიცხვა ჭიანურდება. ეს მიბმულია სხვადასხვა პროექტთან.

– თურქეთმა იკისრა ბუფერული ზონის როლი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და ევროპას შორის. თუმცა, გადაჭარბებულ დატვირთვას კაშხალიც ვერ უძლებს. ეს უნდა

ესმოდეთ ანგელა მერკელსა და მის კოლეგებს. მსოფლიო შეიცვალა. საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა სულ უფრო მეტ ხარჯს მოითხოვს. სულ უფრო რთული ხდება თურქეთში მცხოვრები სირიელი ლტოლვილებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება. თურქეთი მსხვერპლს იღებს, რათა დაეხმაროს ამ ადამიანებს, – აღნიშნავენ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები.

მათი პროგნოზით, სირიაში მოსალოდნელია მოვლენები, რომლებიც გამოიწვევს ახალი ლტოლვილების გაჩენას. ეს იქნება არა მარტო თურქეთის, არამედ ევროპის პრობლემაც.

თურქეთი მოითხოვს, რომ ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ გაიღოს დახმარება იმ ლტოლვილების შესანახად, რომლებიც უკვე იმყოფებიან თურქეთში.

ანკარა აცხადებს, რომ ლტოლვილების ახალ ტალღას თურქეთი ვერ გაუმკლავდება.

# ბიზნესის წილში ჩასმა – რაზე საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის ძმა და ზაზა ოქუაშვილი

კურიერმა ბიძინა ივანიშვილის ძმის სკანდალური ფარული ჩანაწერი მოიპოვა, სადაც ის ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს სთხოვს, რომ მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ავტომანქანების ბიზნესის წილში ჩასვას.

ჩანაწერების მიხედვით, ალექსანდრე ივანიშვილი ომეგა ჯგუფის დამფუძნებელს, ზაზა ოქუაშვილს, კონკრეტულ სქემას სთავაზობს. ივანიშვილის თქმით, მისი გვარის გამო ახალ ბიზნესს საქართველოში ვერ იწყებს, ამიტომ დაინტერესებულია ძველი ბიზნესის ამოქმედებით და სურს ძვირადღირებული მანქანების შემოყვანა.

ჯენერალ მოტორსის ოფიციალური დისტრიბუტორი არის ომეგა ჯგუფი, რომელსაც მანქანები რუსეთიდან შემოჰყავს. ივანიშვილს განუცხადეს, რომ საქართველოში ოფიციალური წარმომადგენელი უკვე არსებობს და ის რუსეთიდან მანქანებს ვეღარ შემოიყვანდა, ამიტომ ალექსანდრე ივანიშვილმა ზაზა ოქუაშვილს მანქანების დუბაიდან შემოყვანა შესთავაზა.

**ივანიშვილი:** „ტორნადო +“ იყო ჩემი ფირმა, რომლის 75% ჩემია, ჩემი ცოლისძმა და ქვისლი ერთად და შემდეგ არჩილის წინადადება იყო, ხომ არ დავუბრუნდეთ ძველ გზასო, „შევროლეს“ მანქანების შემოყვანის წინადადება მაქვს. ახლა აგიხსნის ბატონი დავითი, ვისაც შეხება აქვს ამ „შევროლეს“ მანქანების შემოყვანის საკითხთან, აი, გვარი გამოვიყენე მხოლოდ იმისთვის, რომ შეგხვედროდი. აი, მოგიყვებიან ახლა ჩვენი ბიჭები, სად ვართ ჩვენ და... რუსები იყვნენ, სხვათა შორის, ჩამოსული და თემა რომ განვიხილეთ, გაცილებით ძვირია იქიდან შემოყვანილი მანქანები, ვიდრე პირდაპირ დუბაიზე მიბმა და რა ვიცი, მოვნახოთ საერთო ენა.

**ოქუაშვილი:** მე არ ვიცოდი.

**ივანიშვილი:** არაფერი, აქ არის უბრალოდ ჩვენი გაცნობის თემა, მე უბრალოდ გიდი ვარ და თანამონაწილე ვარ მათი, ახალ ბიზნესს მე ვერ ვიწყებ, ჩემი გვარიდან გამომდინარე, რომელიც გარდამეცვალა, იმ დისშვილზე მქონდა გაფორმებული, ჩემი სახელი და გვარი რომ არ ყოფილიყო, ეხლა ვინაიდან მშენებლობა დავიწყე, ისევ გადმოვიფორმე, ეხლა გაჩერებულია მშენებლობა.

❖ ❖ ❖

ჩანაწერის მეორე ნაწილში ახალი ფიგურანტი, დავითი, შემოდის, რომელიც ზაზა ოქუაშვილს კონკრეტულ სქემას სთავაზობს, რომელიც ბიზნესის გაყოფას ეხება.

**დავითი:** ჩვენ, სიმართლე გითხრათ, სამივე ბრენდის აღება გვინდოდა. ჯენერალ მოტორსში შედის ასევე „ჯიემსის“ ბრენდიც. „ჯიემსი“ გვინდოდა უფრო და „შევროლე“. მერე რომ წავიდა განხილვები, მაღალი დონის მენეჯმენტთან, შეიქმნა რეგიონული მომენტის პრობლემა. გვითხრეს რუსეთიდან, რომ აი, ჩვენ გვინდა ჩამოსვლა, ჩვენც გვყავს კანდიდატიო, მაგათ უნდოდათ, აერიდებინათ რა ჩვენი თავი, ეს არამართო ფინანსური მომენტია, ჩვენ გვინდოდა „ჯენერალ მოტორსთან“ გავლა, ამაში ამერიკის საელჩოც არის ჩართული, ჩვენი საელჩო ამერიკაში, ძაან დიდი პროექტი გვქონდა გაკეთებული და. პრაქტიკულად ჩაიშალა ეს პროექტი იმ ადამიანის გამო, რომელმაც თქვა, რომ არა, მაინც და მაინც მე უნდა ვიყო ამ რეგიონის მმართველი.

**ივანიშვილი:** რუსეთის სახელი ხართ თქვენ, დუბაის სახელით არიან ესენი. ვინც თანამშრომლობას შეჯერდნენ.

მივიღოთ ჩვენი ხალისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც უკეთესი იქნება, თუ მაინც და მაინც გინდათ რუსეთიდან, არც მაგაზე მექნება პრეტენზია, გააგრძელეთ, მაგრამ

**ზაზა:** ჩვენ ნამდვილად გვპირდებიან ამერიკულს, მაგრამ რუსეთის გავლით.

**დავითი:** სათავისოდ უნდა, რომ წაიღონ.

**ოქუაშვილი:** ვისა? რუსეთს?

**ივანიშვილი:** გასაღების ბაზარი უნდათ. მე გამიხმო მერე ერთმა რუსმა და მითხრა, არ გაერიო, ეს ისეთი შარიანი ბიზნესიაო, თავი დაანებეო. მე ვუთხარი, ამას მე გადავწყვიტავ, თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, აღარ შეგაწუხებთ, ბატონო ზაზა.

**დავითი:** „კადილაკი“ თქვენ, „ჯი ემ სი“ და „შევროლე“ ჩვენ.

**ივანიშვილი:** თუ თქვენ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ და ჩვენთვისაც და თქვენთვისაც საინტერესოდ გადაწყდება ეს საკითხი.

**ოქუაშვილი:** ის არ გამოვა, ხო? „კადილაკი“ რუსეთიდან იყოს და „ჯიემჯი“, ვთქვათ, იქიდან?

**ივანიშვილი:** მოითხოვენ ერთად ამერიკელები ამას.

რუსთავი 2

# ტოტალიზატორის მენეჯერს ფულს სთხოვდნენ და ოჯახზე ძალადობით ემუქრებოდნენ

## პოლიციამ ზ.ფ. დააკავა

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1971 წელს დაბადებული ზ.ფ. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისის ერთ-ერთი ტოტალიზატორის მენეჯერს მუქარის წერილი გაუგზავნა და დიდძალი თანხა მოსთხოვა. ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, ზ.ფ. მსხვერპლს ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა. მოგვიანებით, ბრალდებული რამდენჯერმე მობილური ტელეფონითაც დაუკავშირდა ტოტალიზატორის მენეჯერს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ფულის გადახდა მოსთხოვა.

„სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ზ.ფ. თბილისში, გლდანში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი მუქარის მორიგ ზარს ახორციელებდა. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო დანა და მობილური ტელეფონი, რომლითაც ზ.ფ. მსხვერპლს ურეკავდა და ემუქრებოდა,“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს.

რუსთავი 2

# თამთა თვალავაძე: „მამაჩემი, შესაძლოა, კლანების დაპირისპირებას ემსხვერპლა“

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ყოფილი უფროსის გია თვალავაძის მხარდასაჭერად თბილისში, კიკვიძის პარკში, გუშინ, 30 სექტემბერს, აქცია გაიმართა.

როგორც ჟურნალისტებს გია თვალავაძის შვილმა თამთა თვალავაძემ განუცხადა, მამამისი უდანაშაულოა და მის წინააღმდეგ გამოძიებას საკმარისი მტკიცებულებები არ აქვს.

თამთა თვალავაძის განცხადებით, არსებობს მხოლოდ ერთი პირის ჩვენება, რაც საკმარისი არ არის.

– მთელი ლანჩხუთი, მთელი გურია, მთელი საქართველო ფეხზეა, რადგან უდანაშაულო ადამიანი ამ წამებში ციხეშია. მინდა მჯეროდეს, რომ სააპელაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და მამას გაათავისუფლებენ და გააუქმებენ აღკვეთის ღონისძიებას პატიმრობასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში გარდა სიკეთისა, მამას არაფერი უკეთებია. თუ ამ ქვეყანაში სიკეთე დანაშაულია, წინ ვერასდროს წავალთ.

მინდა გამოვეხმაურო მინისტრის ძალიან ღირსეულ განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ გია პატიოსანი ადამიანია. მან იცის, რომ გია არასდროს უღალატებდა ჯანდაცვის სამინისტროს და ხალხს. რომელ ნარკოტიკულ დანაშაულთან არის საქმე, როცა ამბობენ, რომ მან უფლებამოსილებას გადააჭარბა, მაგრამ სარგებელი არ მიუღია?! ეს არის სირცხვილი! მჯერა, რომ გია რამდენიმე საათში გარეთ გამოვა, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. არ მინდა პოლიტიკური განცხადების გაკეთება. მესმის ჭორები, რომ ეს შეიძლება კლანებს შორის დაპირისპირება იყოს და გია ამას ემსხვერპლა, მაგრამ ვიმეორებ, ერთადერთი, რაც გიას უკეთებია, სიკეთეა. ძალიან ცუდი სპექტაკლი დაიდგა. ყველა დაკავებული პირი ამბობს, რომ გია თვალავაძეს არ იცნობს.

რაც შეეხება აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს, ასეთი მტკიცებულებები ჩვენ არ გვინახავს. მესმოდა ჰაერზე ნათქვამი სიტყვები, თითქოს გია დაიკავეს თავისი წამლის სააგენტოს ინსპექტირების სამსახურის უფროსის ჩვენების გამო. მისცა ჩვენება ქალმა, რომლის ვალდებულებაც იყო გასულიყო და შეემოწმებინა, თუმცა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. თუ რამე აუდიო-ვიდეო ჩანაწერები არსებობდა, რატომ არ აჩვენეს?! ახლა რომ რამე აჩვენონ, მგონია, რომ დამონტაჟებული იქნება, – განაცხადა თამთა თვალავაძემ.

სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს გია თვალავაძეს და ამავე საქმეზე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით დაკავებულ კიდევ 5 პირს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გია თვალავაძე ციხიდან ჩაფიძის გულის ცენტრში 26 სექტემბერს გულის შეტევით გადაიყვანეს.

# რუსთავში 2 ბაიკერი დაჭრეს

რუსთავში, ავტობაზრობის ტერიტორიაზე მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დროს ორი მამაკაცი დაჭრეს.

დაჭრილები ბაიკერები არიან.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების ინფორმაციით, ერთს ნაკვეთ-ნაჩხვლეტი მსუბუქი დაზიანება კისრის არეში აქვს მიყენებული, მეორეს კი – მხარზე.

– შემოიყვანეს ორი ახალგაზრდა მამაკაცი, ორივეს აღენიშნება ნაკვეთ-ნაჩხვრეტი ჭრილობა ერთს მხარის ხოლო მეორეს კისრის არეში, დამუშავდა ჭრილობები, ერთი პაციენტი მხარის ჭრილობით გადაყვანილია საოპერაციო ბლოკში და მიმდინარეობს ოპერაცია, მეორე პაციენტის ჭრილობა დამუშავდა და გაიკერა. სისხლდენა შეჩერებულია.

ამჟამად პაციენტი გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში დაკვირვების ქვეშ იმყოფება. პაციენტს, რომელსაც ჭრილობა მხარის არეში აქვს მიყენებული დიდი დანაკარგი აქვს სისხლის, საკმაოდ მძიმე დაზიანებაა, – განუცხადა ინფო რუსთავს ექიმმა დავით გოგოძემ.

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებას გულისხმობს. ამ დროისთვის მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო ღონისძიებები.

# თბილისის ცენტრში 25 წლის მამაკაცი მოკლეს

30 სექტემბერს თბილისის ცენტრში მკვლელობა მოხდა – დიუმას ქუჩაზე 25 წლის ახალგაზრდა ცივი იარაღით დაჭრეს. ის საავადმყოფოში გადაყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

ამჟამად ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული. ადგილობრივები ამბობენ, რომ ისინი ფაქტს არ შესწრებიან, თუმცა ესმოდათ ჩხუბის ხმა.

– გვიან ღამით 04:00 საათი იყო. ბიჭი იგინებოდა. ჩხუბის მაგვარი იყო. მერე პოლიცია მოვიდა, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი.

რა გახდა თბილისში საზარელი მკვლელობის მიზეზი, უცნობია. ერთ-ერთ ვერსიად ანტისემიტიზმი სახელდება.

ინციდენტი თავისუფლების მოედანზე მდებარე ერთ-ერთ ბარში დაიწყო და დიუმას ქუჩაზე გაგრძელდა. ვიტალი საფაროვს მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს, მათ შორის სახის არეშიც. ჩხუბის მონაწილეებმა დაჭრილი მიატოვეს და გაიქცნენ. ის ადგილობრივებმა იპოვეს და პოლიცია გამოიძახეს.

სავარაუდოდ, მკვლელი იქვე მდებარე ობიექტების სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა.

ჩხუბის დროს კიდევ ერთი პირი დაიჭრა, რომელიც კლინიკაშია მოთავსებული.

– სასიკვდილოდ იყო დაჭრილი ჩვენი თანამშრომელი და ჩემი მეგობარი. ის იმყოფებოდა თავის მეგობართან ერთად. ისიც არის დაჭრილი, რამდენადაც ჩვენ ვიცით და იმყოფება ერთ-ერთ საავადმყოფოში.

ეს შემთხვევა გამთენიისას მოხდა. სავარაუდოდ, 05:00-დან 06:00 საათამდე და მშობლებმა და ნათესავებმა შუადღისით შეიტყვეს ეს ინფორმაცია. ამ წუთამდე არ აქვთ საშუალება, რომ მოახდინონ იდენტიფიცირება. ერთადერთი, რასაც ჩვენ ვითხოვთ, ეს არის სწრაფი ეფექტური გამოძიება, – განაცხადა გარდაცვლილის მეგობარმა აგიტ მირზოევმა.

სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული.

რუსთავი 2

# ფონიჭალაში ნისანმა 50 წლის კაცი გაიტანა და მოკლა

## ნისანში გოგონები ისხდნენ

ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე მსხვერპლით დასრულდა

ქვემო ფონიჭალაში „ნისანის“ მარკის ავტომობილი გზაზე ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

შემთხვევის შედეგად 50 წლამდე მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

ავარიის გამო საავტომობილო გზაზე მოძრაობა შეზღუდული იყო.

როგორც თვითმხილველი ამბობს, „ნისანში“, რომელიც მამაკაცს დაეჯახა, გოგონები ისხდნენ.

# კანონიერმა ქურდებმა მინდია გორაძემ და ჯეირან კინწურაშვილმა მ.დ.-ს წალკაში ფულის შეგროვება დაავალეს

## შსს-მ 6 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 6 პირი დააკავა. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ 29 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ჭელიძის ინფორმაციით, დაკავებულებს ქურდულ შეკრებაში მონაწილეობასა და ქურდული სამყაროს მხარდაჭერას ედავებიან.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ქურდული სამყაროს წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, რომლის მიზანია ქვეყანაში ქურდული სამყაროსა და მასთან დაკავშირებული კრიმინალური მენტალიტეტის საბოლოოდ აღმოფხვრა.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონული სამმართველოსა თანამშრომლებმა თბილისში, ქუთაისსა და წალკაში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 6 წევრი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული თ.ვ., 1985 წელს დაბადებული მ.დ., 1985 წელს დაბადებული ლ.გ., 1992 წელს დაბადებული ბ.რ., 1983 წელს დაბადებული ზ.კ. და 1989 წელს დაბადებული გ.ო.

დაკავებულებს ბრალი ედებათ ქურდული სამყაროს წევრობაში, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობასა და ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერაში.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის მაისში, თურქეთში, ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ – მინდია გორაძემ (ლავას ოღლი) და ჯეირან კინწურაშვილმა ერთ-ერთ ბრალდებულს – მ.დ.-ს ე.წ. „მაყურებლის“ სტატუსი მიანიჭეს და მას წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში ე.წ. „ქურდული საერთოს“ შეკრების ორგანიზება დაავალეს.

იმისთვის, რომ „ქურდული საერთოს“ შეგროვების პროცესს ორგანიზებული ხასიათი ჰქონოდა, მ.დ.-მ, ერთ-ერთ ბრალდებულთან – თ.ვ.-სთან ერთად „ქურდული შეკრება“ მოაწყო. შეკრებაზე დაადგინეს, რომ წალკის რაიონის მცხოვრებლებს „ქურდულ საერთოში“ შესატანი თანხა ყოველი თვის 10 რიცხვში უნდა გადაეხადათ, ხოლო ვისაც ხელფასი ბანკში ერიცხებოდა, „ქურდული საერთოსთვის“ შესატანს ხელფასის ჩარიცხვის მეორე დღეს გაიღებდა.

გამოძიების ინფორმაციით, „ქურდული სამყაროს“ წევრების – მ.დ.-ს, თ.ვ.-ს და ლ.გ.ს, ასევე, მათი მხარდამჭერების – ბ.რ.-ს, ზ.კ.-ს და გ.ო.-ს მონაწილეობით, მიმდინარე წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ე.წ. „ქურდული საერთოსთვის“ წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისგან გარკვეული თანხა შეგროვდა. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში აღნიშნული თანხის ნახევარი, „კანონიერი ქურდის“, ჯეირან კინწურაშვილის გადაწყვეტილებით და მ.დ.-ს მითითებით, საფრანგეთში მყოფი „კანონიერი ქურდის“ – გიორგი ფოლადაშვილის (მეტსახელად „სინკარა“) დედას გადაერიცხა.

სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ქურდული საერთოს“ სია. ასევე, ამოღებულია ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობისა და ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 223-ე 1-პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 223-ე 2-პრიმა მუხლით და 223-ე 3-პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ქურდული სამყაროსა და მასთან დაკავშირებული კრიმინალური მენტალიტეტის აღმოფხვრის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებების წრე გაფართოვდა.

კერძოდ, მიმდინარე წლის აპრილიდან, „კანონიერ ქურდობასა“ და „ქურდული სამყაროს წევრობასთან“ ერთად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“ და „ქურდული სამყაროს წევრისთვის ან კანონიერი ქურდისთვის მიმართვა“, რაც 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შედეგად კი, 2018 წლის 9 თვის განმავლობაში კანონიერი ქურდობის, ქურდული სამყაროს წევრობის, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობისა და ქურდული სამყაროს მხარდაჭერის ბრალდებით საქართველოში დაკავებულია 39 პირი, მათ შორის 2 „კანონიერი ქურდია“, ასევე პასუხისგებაში მიეცა 2 „კანონიერი ქურდი“. ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთსა და საბერძნეთში დაკავებულია სხვადასხვა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები – საქართველოს 127 მოქალაქე და 12 ქართველი „კანონიერი ქურდი“, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

# თბილისში ლგბტ აქტივისტებს სცემეს და მოკვლით დაემუქრნენ

„თანასწორობის მოძრაობა“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ მათი ოფისის მიმდებარედ 28 სექტემბერს, 23:00 საათზე, ლგბტ აქტივისტებს, რომლებიც ოფისის დატოვებას აპირებდნენ, თავს დაესხნენ, სცემეს და მოკვლით დაემუქრნენ.

„თანასწორობის მოძრაობის“ ცნობით, დაზარალებულია 3 აქტივისტი. თავდასხმის შემდეგ ადგილზე პოლიცია გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

„გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

ამ ეტაპზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 28 სექტემბერს, გვიან ღამით, „თანასწორობის მოძრაობის“ ოფისის ეზოში, ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელსა და იმავე ქუჩაზე მცხოვრები ქალის – 1952 წელს დაბადებულ ნ.ი.-ს შორის ხმაურთან დაკავშირებით სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რასაც აღნიშნული ქალის ნათესავი, 1983 წელს დაბადებული გ.ფ. შეესწრო.

კონფლიქტი, ერთი მხრივ, ლგბტ თემის წარმომადგენლებს – ვ.კ.-ს, თ.ე.-ს, ა.უ.-ს, რ.კ.-სა და მეორე მხრივ, გ.ფ.-ს შორის გაგრძელდა, რომლის დროსაც მათ ერთმანეთს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

კონფლიქტის შედეგად, გ.ფ. მიღებული დაზიანების გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, მიმდინარეობს მოწმეთა გამოკითხვა და შესაბამისი ექსპერტიზების დანიშვნა“, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# 17 წლის შორენა ანდრიაძე: „როცა მუცელი მოეშალა, ქმარმა სასტიკად მცემა“

## გიორგი ლაშხიძის ოჯახი ძალადობას უარყოფს

17 წლის შორენა ანდრიაძე წელიწად-ნახევრის განმავლობაში მეუღლის მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის მსხვერპლი იყო.

არასრულწლოვანი ახლა მშობლების სახლშია და ყვება, რომ მეუღლემ ის ბოლოს სასტიკად მას შემდეგ ცემა, რაც მუცელი მოეშალა.

მორიგი ოჯახური კონფლიქტის შემდეგ, ანდრიაძე პოლიციას თავად დაუკავშირდა და მომხდარის შესახებ უამბო. სამართალდამცველებმა მისი მეუღლე 23 სექტემბერს დააკავეს.

ანდრიაძის ძმა ყვება, რომ დის წამოყვანა არაერთხელ სცადეს, თუმცა გიორგი ლაშხიძე მათ სანადირო თოფითა და ცივი იარაღით დაემუქრა.

ბექა ანდრიაძე ამბობს, რომ მის ყოფილ სიძეს სამართალდამცავ უწყებაში მფარველები ჰყავს, რომლებიც მისთვის პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობენ.

ბრალდებული გიორგი ლაშხიძის ოჯახის წევრები ყოფილ რძალზე ძალადობის ფაქტებს უარყოფენ.

გიორგი ლაშხიძის საქმესთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიებაზე გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ იმსჯელა. მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა და ლაშხიძე 3.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დარბაზიდან გაათავისუფლა.

20 წლის გიორგი ლაშხიძე წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

ოჯახური ძალადობისა და მუქარის მუხლით ბრალდებულ გიორგი ლაშხიძის საქმეზე გარდაბნის რაიონული სასამართლო 5 ნოემბერს იმსჯელებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

რუსთავი 2

# ბათუმში შვილმა დედა ყელში დაჭრა

ბათუმში, წერეთლის ქუჩაზე, 50 წლამდე ქალს შვილმა ჭრილობა ყელის არეში დანით მიაყენა.

ინციდენტი 28 სექტემბერს მოხდა.

მეზობლების თქმით, დედა-შვილი ხშირად ჩხუბობდა.

შსს-ს თანამშრომლებმა 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.კ. ბათუმში დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 29 სექტემბერს ბათუმში, წერეთლის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა დედას – 1963 წელს დაბადებულ მ.კ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებმა დაჭრილი მ.კ. საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს,“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შინდისის გმირთა მემორიალი 20 წლის პირმა დაარბია

## მას ფსიქიკური პრობლემები აქვს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში შინდისის გმირების მემორიალი დაარბიეს.

პირი, რომელიც გმირების მემორიალი დარბევაში ამხილეს, 20 წლამდე ასაკისაა. ახალგაზრდა მამაკაცი მეზობელ სოფელ ყელქცეულში ცხოვრობს და ფსიქიკური პრობლემები აქვს.

ამის თაობაზე ეკლესიის მოძღვარი სოფლის მცხოვრებლებს ესაუბრა და საქმის ვითარება აუხსნა. კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა მსგავსი ფაქტი, მან პოლიციას განუმარტა, რომ „ასე მოუნდა“.

გმირების მემორიალი 29 სექტემბერს დაარბიეს. ფოტო სოციალურ ქსელში შუადღისას გავრცელდა. ფოტოს ავტორის ინფორმაციით, მასალა იმ დროს გადაიღო, როდესაც მემორიალს ესტუმრნენ და მემორიალი სავალალო მდგომარეობაში დახვდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი იდენტიფიცირებულია.

შინდისის ბრძოლა 2008 წლის 11 აგვისტოს მოხდა და ერთ-ერთი მძიმე ეპიზოდია აგვისტოს ომის ქრონიკაში. რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ქვედანაყოფის 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა – ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე.

# აშშ ერაყში საკონსულოს დახურვას აპირებს

აშშ ერაყის ქალაქ ბასრაში საკონსულოს დახურვას. ამის თაობაზე სახელმწიფო დეპარტამენტი იტყობინება.

მიზეზი გახშირებული მუქარები და ტერაქტების რეალური საფრთხეა. ირანის მიერ დაფინანსებული და შეიარაღებული პირები ამერიკელ დიპლომატებზე თავდასხმებს ამზადებენ.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბასრადან ჩვენი დიპლომატები გავიყვანოთ, – თქვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ.

ამავე დროს, პომპეომ ირანი გააფრთხილა, რომ ამერიკელ დიპლომატებზე ნებისმიერ თავდასხმას საკადრისი პასუხი მოჰყვება.

– ირანი ამის გამო პასუხს აგებს, – განაცხადა პომპეომ.

# პოროშენკო: „დონეცკის შტურმი გამორიცხულია!“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ დონეცკის შტურმი გამორიცხულია.

– უკრაინელი ხალხი კეთილი და დიდსულოვანია! დონეცკში შტურმს უდიდესი მსხვერპლი მოჰყვება, რაც დაუშვებელია. რუსებმა თავის დროზე გროზნო მიწასთან გაასწორეს, უკრაინელები კი ასე არასოდეს მოიქცევიან, – თქვა მან.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დონბასზე უკრაინელთა კონტროლის აღდგენა პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალებებით მოხდება. ამავე დროს, პრეზიდენტმა ის ძალებიც გააკრიტიკა, რომლებიც რუსეთის მიმართ კაპიტულაციასა და დონბასისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას მოითხოვენ.

პოროშენკომ განაცხადა, რომ უკრაინამ, გერმანიამ, საფრანგეთმა და აშშ-მ თითქმის დაამთავრეს მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც დონბასში გაეროს სამშვიდობო ძალების ჩაყენებას ითვალისწინებს.

– რუსეთი შეეცდება, დრო გაწელოს. ჩვენ კი ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენი მიზნის განხორციელებისკენ მივდივართ, – თქვა პრეზიდენტმა.

# რუსეთში ახალი შოვინისტური პარტიის შექმნა სურთ

რუსი პოლიტოლოგი და ტელეწამყვანი მიხეევი მიიჩნევს, რომ არსებულმა რუსულმა პარტიებმა თავი ამოწურეს. აუცილებელია ახალი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ახალი პროგრამით გამოვა.

– წინა პლანზე დიდი რუსეთის აღდგენის იდეა და მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამა უნდა გამოვიდეს, – აცხადებს მიხეევი.

# სერბეთის არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია

სერბეთ-კოსოვოს საზღვარზე სიტუაცია გამწვავდა. სერბებით დასახლებული რაიონები სერბეთთან შეერთებას ითხოვენ, ალბანელებით დასახლებული რაიონები, რომელთა ნაწილიც სერბეთის შემადგენლობაშია – კოსოვოსთან.

სერბეთ-კოსოვოს პრეზიდენტების შეხვედრისას მიღწეულ იქნა შეთანხმება ტერიტორიების გაცვლის შესახებ, ანუ სერბებით დასახლებული რაიონები, შესაძლოა, სერბეთს შეუერთდეს, ალბანელებით დასახლებული კი – კოსოვოს.

ამან ალბანელთა აღშფოთება გამოიწვია. პრიშტინაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

პასუხად სერბული არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი. სერბეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ თუ შეთანხმება ტერიტორიების გაცვლის შესახებ არ შესრულდა, სერბული არმია თავის მოსახლეობას იარაღის ძალით დაიცავს.

# ინდონეზიაში მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 832-მდე გაიზარდა

## ციხიდან 100 პატიმარი გაიქცა

ინდონეზიაში, კუნძულ სულავესიზე, მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 832-მდე გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას ინდონეზიის სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ეროვნული სამმართველო ავრცელებს.

აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა რიცხვი 420-ს შეადგენდა.

კუნძულ სულავესიზე, ქალაქ პალუს მახლობლად, 28 სექტემბერს 6,1 მაგნიტუდის სიმძლავრის, რამდენიმე საათში კი კიდევ ერთი, 7,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგებმა ცუნამი გამოიწვია. დაზარალებულთათვის ინდონეზიის მთავრობამ 37 მილიონი დოლარი გამოყო, თუმცა ეს თანხა, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

მიწისძვრისა და ცუნამისგან დაზარალებულ პროვინციაში ციხიდან 100-ზე მეტი პატიმარი გაიქცა.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც პატიმრებმა ციხის ხელმძღვანელობისგან მათი გათავისუფლება მოითხოვეს. უარის მიღების შემდეგ 340-მა პატიმარმა ბუნტი მოაწყო და ციხეს ცეცხლი წაუკიდა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სიტუაციაზე კონტროლის დამყარება შეძლეს, თუმცა ასეულობით პატიმარი უკვე გაქცეული დახვდათ.

# ავღანეთში „თალიბანის“ ერთ-ერთი მეთაური მოკლეს

ავღანეთის აღმოსავლეთში, ფარვანის პროვინციაში, რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ ერთ-ერთი მეთაური კარი მანაფი მოკლეს.

ამის შესახებ პროვინციის გუბერნატორის ოფიციალურ წარმომადგენელ ვაჰიდ შაჰქარზე დაყრდნობით სააგენტო „სინჰუა“ იუწყება.

მისი განცხადებით, კარი მანაფი პროვინციაში ჩრდილოვანი გუბერნატორის როლს ასრულებდა.

ავღანეთის უსაფრთხოების ძალებმა მანაფთან ერთად კიდევ ორი „ბოევიკი“ მოკლეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ჯანლეიდოსკოპი

### ცოლის მიერ მიტოვებულმა პროგრამისტმა წონაში დაიკლო

დეპრესიაში ჩავარდნილმა ამერიკელმა მამაკაცმა, რომელიც ცოლმა ზედმეტი წონის გამო მიატოვა, ორი წლის განმავლობაში წონაში 101 კილოგრამი დაიკლო.

ტენესის შტატის ქალაქ ჯონსონ-სიტის მცხოვრები პროგრამისტი სტივენ რინგო 2016 წელს 184 კილოგრამს იწონიდა. ჩვეულებრივ ის ორი ბიგ-მაკით, კარტოფილი ფრის ორი დიდი შეკვრით, 20 ცალი ნაგეტსითა და ორი დიდი ჭიქა კოკა-კოლათი სადილობდა, ხოლო ვახშამზე პიცას შეექცეოდა. მეტისმეტად დიდი მუცლის გამო ფეხზე წინდის ჩაცმაც კი უჭირდა. პროგრამისტმა აღიარა, რომ მისი თვითშეფასება მეტისმეტად დაბალი იყო და დეპრესიაში ჩავარდა. საბოლოოდ ცოლი დაშორდა.

– ჩემმა წონამ ოჯახი დამინგრია. დეპრესიაში ვიყავი. ვფიქრობ, რომ სწორედ ჩემმა ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ და სექსის არქონამ აიძულა ცოლი, გამშორებოდა, – აღიარა რინგომ.

ცოლთან განქორწინების შემდეგ რინგომ გადაწყვიტა, საკუთარი ცხოვრების წესი შეეცვალა. მან თანდათანობით უარი თქვა ფასტფუდზე და ყოველდღე სავარჯიშო დარბაზში სიარული დაიწყო. დროთა განმავლობაში ის მხოლოდ ხუთიდან საღამოს ცხრა საათამდე ჭამდა, სადილობდა გატარებული ინდაურის ხორცით, მწვანე ლობიოთი და ვაშლით, ხოლო დესერტად მიირთმევდა დიეტურ პოპკორნსა და უცხიმო ნაყინს.

### სპილომ ტურისტი ქალი გადათელა

ზიმბაბვეში სპილომ ფეხებით გადათელა გერმანელი ტურისტი ქალი, რომელიც მისთვის ფოტოსურათის გადაღებას შეეცადა.

ინციდენტი მოგზაურებისთვის პოპულარულ მანაპულსის ეროვნულ პარკში მოხდა. 45 წლის ტურისტი ქალი მანქანიდან იმისთვის გადმოვიდა, რომ სპილოების ჯოგისთვის სურათები გადაეღო, ერთ-ერთი მათგანი კი მას თავს დაესხა.

– ჩვენი მონაცემებით, ტურისტები სპილოების ჯოგს გადააწყდნენ და მათ სურათების გადაღება დაუწყეს. არ ვიცით, თუ რამ გააბრაზა ცხოველები და რატომ დაესხა ერთ-ერთი მათგანი ადამიანს, – განაცხადა ზიმბაბვეს ეროვნული პარკისა და ველური ბუნების დაცვის წარმომადგენელმა ტინაშე ფარავომ.

მისი თქმით, ქალი, რომლის ვინაობა არ სახელდება, იმავე საღამოს მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

### ინდოეთში ლომები უცნაურ გარემოებაში დაიხოცნენ

ინდოეთში 11 იშვიათი სახეობის აზიური ლომის გაურკვეველ გარემოებებში დაღუპვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი გაჯარათის შტატის ტყეში მოხდა, რომელიც ერთადერთ ადგილს წარმოადგენს მთელ პლანეტაზე, სადაც აზიური ლომები ბინადრობენ. რეინჯერებმა ცხრა მკვდარი მტაცებელი 11-დან 19 სექტემბრის ჩათვლით აღმოაჩინეს. მათ შორის იყვნენ ლომის ბოკვერებიც.

ნაკრძალის ხელმძღვანელმა განპატ ვასავამ ვარაუდი გამოთქვა, რომ ორი ცხოველი ერთმანეთთან ბრძოლის შედეგად დაიღუპა, ხოლო დანარჩენები – ფილტვებისა და ღვიძლის ინფექციის შედეგად. მისი მოადგილე რაჯივ გუპტა კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ ცხრა მტაცებელი ორთაბრძოლების შედეგად დაიღუპა, ხოლო დანარჩენი ორის დაღუპვის მიზეზებზე ჯერ არაფრის თქმა არ შეუძლია არასაკმარისი მონაცემების გამო.

ვეფხვების პოპულაციის გადარჩენის ეროვნული სამმართველოს ექსპერტების პირველად ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცხოველების დაღუპვის ძირითად მიზეზს ტერიტორიისთვის ბრძოლა და ინფექციები წარმოადგენს, რომლებიც მათ ჭრილობების შედეგად მიიღეს. ლომების ქსოვილების ფრაგმენტებს ანალიზისთვის ვირუსოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში გადააგზავნიან.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ექსპერტები აღიარებენ, რომ მანამდე ასეთ მცირე დროის შუალედში 11 ცხოველის გვამი არასოდეს აღმოუჩენიათ.

აღსანიშნავია, რომ აზიური ლომი სამხრეთ ევრაზიის ტერიტორიაზე საბერძნეთიდან ინდოეთის ჩათვლით იყო გავრცელებული. 2015 წლის მონაცემები კი ამჟამად ამ სახეობის მხოლოდ 523 წარმომადგენელია დარჩენილი მთელ მსოფლიოში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალო იგებს, დინამო კვალში უდგას

**ჩიხურა-საბურთალო 0:1**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1 ტატანაშვილი (85)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, ჩიკვაიძე, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, კახაბრიშვილი (მეგრელიშვილი 73), ბუღრიძე, დობროვოლსკი (იონანიძე 88), სარდალიშვილი

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, ალთუნაშვილი (ტერა 74), გორგიაშვილი, გონსალვეში, დიასამიძე (ტატანაშვილი 81), დვალიშვილი (ვოლკოვი 67), კოხრეიძე

**გაძევება:** მირცხულავა (90)

ჩემპიონატის ლიდერმა ზედიზედ 2 მატჩი წააგო და ამ შეხვედრის წინ გამოკვეთილი ლიდერობა საფრთხის წინაშე დააყენა. კიდევ ერთი წაფორხილება და დინამოს სუნთქვა უკვე ნათლად იგრძნობოდა. თუმცა, გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა მოახერხეს და მატჩის ბოლოს გამარჯვება მოახერხეს. ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა სტუმართა შეტევები უფრო შედეგიანი აღმოჩნდა და გამარჯვება მათ დარჩათ. შეხვედრის ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე გავიდა, შეცვლაზე შემოსულმა ვეტერანმა თავდამსხმელმა – ტატანაშვილმა ბურთი გიორგი კოხრეიძესთან გაითამაშა და დასარტყმელ პოზიციაზე გასულს გატანა აღარ გასჭირვებია.

ამ გამარჯვებით საბურთალომ უახლოეს მდევარ დინამოსთან ქულათა სხვაობა შეინარჩუნა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კვლავ მთავარ ფავორიტად რჩება. ჩიხურამ კი მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და სამეულში მოხვედრის შანსები კიდევ უფრო შეიმცირა.

**დინამო-კოლხეთი 2:1**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 შენგელია (17), 1:1 აშორტია (24), 2:1 შენგელია (54)

**დინამო:** სიკაჩი, რუხაია, ლოჩოშვილი, კობოური, ქაფიანიძე, ნინუა (ქოჩლაძე 76), ქარდავა, კუცია, შენგელია (ივანიშვილი 85), შულაია (ერგემლიძე 66), ვაწაძე

**კოლხეთი:** კნიგა, კერელეიშვილი, ციკოლია, დოროშენკო, აფხაზავა, აშორტია (შალიკაშვილი 86), ჭეჭელაშვილი (კაბორე 55), ხატიაშვილი, იმნაძე, პრიჩინენკო, მთივლიშვილი (ძაძამია 81)

დინამოელებმა სათამაშო უპირატესობა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს და მეტოქეს შეუტიეს. მე-17 წუთზე დავით კობოურმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ბურთი მათე ვაწაძემ ერთი შეხებით ლევან შენგელიას დაუგდო, რომელმაც ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

დინამოელებს გოლით დიდხანს არ გაუხარიათ, რადგან 24-ე წუთზე იმედა აშორტიამ დედაქალაქელთა მეკარისა და დაცვის ხაზის შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ამის შემდეგ უპირატესობას დინამო ფლობდა: 38-ე წუთზე მათე ვაწაძემ ითამაშა დასწრებაზე, მისი თავური კი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს. მალევე აკაკი შულაიას შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ დარტყმული გაუცუდდა.

მე-2 ტაიმიც დედაქალაქელთა უპირატესობით გაგრძელდა და 54-ე წუთზე შენგელიამ ლამაზი დარტყმით დუბლი გაიფორმა. საპასუხოდ კოლხეთმაც სახიფათოდ შეუტია, მაგრამ გოლის გარეშე.

შეხვედრის ბოლო წუთები ოდნავ ქოსურ თამაშში მიინა, ანგარიში აღარ შეცვლილა და დინამომ 2:1 იმარჯვა.

**ტორპედო-სიონი 3:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 დოლიძე (34), 2:0 კუტალია (58), 3:0 კაპანაძე (64)

**ტორპედო:** კვასხვაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, ქიმაძე, მარინი, კობახიძე, დოლიძე (დაფე 79), ჰლინკა, გიგაური (კუხიანიძე 59), კაპანაძე (ლაჩინი 64), კუტალია

**სიონი:** ზარქუა, მინდორაშვილი, თომაშვილი, ნოზაძე, ქიქავა (სიხარულია 68), კოშკაძე, ხმალაძე, კირკიტაძე (მიქაბერიძე 87), გიორბელიძე, ტრეტიაკი (ლეჟავა 52), ისიანი

ორივე გუნდმა უკანასკნელ ტურებში ძალიან მოუმატა, თუმცა მათი შეხვედრა დაძაბული ვერ გამოვიდა, რადგან მასპინძლებმა ადვილად გაიმარჯვეს.

ტორპედო უპირატესობას ფლობდა და პირველ ტაიმში დაწინაურდა კიდეც ლაზარ მარინმა გამჭოლი პასი გააკეთა საჯარიმოში, სადაც ბურთს გრიგოლ დოლიძე დაუხვდა და თორნიკე ზარქუას კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ტაიმი კვლავ ტორპედოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და 5-წუთიან მონაკვეთში მათ ორჯერ მოახერხეს მეტოქის კარის აღება. 58-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად ლევან კუტალიამ დაარტყა, 63-ზე კი გრიგოლ დოლიძის ჩაწოდებით თორნიკე კაპანაძემ ისარგებლა და მიმდინარე სეზონში მეხუთე გოლი გაიტანა.

**ლოკომოტივი-დილა 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 დავითაშვილი (46), 1:1 კოვტალიუკი (81), 2:1 დავითაშვილი (90)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, შონია, დავითაშვილი, ლობჟანიძე (ქურდაძე 55), გაბაძე, უბილავა, ჯონი (ჯიქია 86), სამურკასოვი, არდაზიშვილი (ინჯგია 81), კობახიძე

**დილა:** გუგეშაშვილი, გ.გადრანი, რაზმაძე, ქავთარაძე (ჯუფი 76), ნონიკაშვილი, კოვტალიუკი, ლემპტი (რაჟამაშვილი 52), სანტოსი, გრიგალაშვილი (კორიფაძე 83), რიბეირო, სუხიაშვილი

მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე გამართული მატჩი, ლაშა ჭაღიაშვილის გუნდმა 2-1 მოიგო.

მატჩი ლოკომოტიველთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მათი ახალგაზრდა შემტევის ზურიკო დავითაშვილის თამაში, რომელმაც შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. სტუმრებს ორივე გოლი მან გაუტანა. 17 წლის შემტევმა ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლი გამოდგა და ასევე, პირველად გახდა დუბლის ავტორიც.

ანგარიში მეორე ტაიმის პირველივე წუთზე გაიხსნა, საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი დავითაშვილს მიუვიდა, შემტევი სიტუაციაში სწრაფად გაერკვა და ზუსტი შორეული დარტყმით აიღო გუგეშაშვილის კარი. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ, უჩა სოსიაშვილის გუნდის შეტევებმა შედეგი მატჩის მიწურულს გამოიღო.

81-ე წუთზე თორნიკე გრიგალაშვილის ჩაწოდების შედეგად თავური დარტყმით მიკოლა კოვტალიუკმა გაიტანა. ბოლო წუთებზე გაშვებული გოლის მიუხედავად ლოკომ თამაში მაინც მოიგო, მსაჯის მიერ კონმპენსირებულ დროში რევაზ ინჯგიას გადაცემით დუბლი ზურიკო დავითაშვილმა გაიფორმა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**სამტრედია-რუსთავი 1:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 ციცქიშვილი (31), 1:1 მამასახლისი (45პ)

**სამტრედია:** კუპატაძე, გურული, ჩაჩუა, ფატიჩი, გოგიაშვილი, მამასახლისი (კერძევაძე 72), ტუღუში, ლიპარტია, ხაბეიშვილი (კოშმანი 51), ენდელაძე, გორელიშვილი

**რუსთავი:** სეფიაშვილი, ღონღაძე, ლ.გადრანი, ჩუკურა, პაპავა, კვარაცხელია (ქავთარაძე 78), თარხნიშვილი, ბუგულოვი, კირკიტაძე, ციცქიშვილი, მარცვალაძე

ტურში ფრედ ერთადერთი შეხვედრა დასრულდა. ზესტაფონში გამართული შეხვედრაში სამტრედიამ და რუსთავმა 1:1 ითამაშეს.

ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა: 31-ე წუთზე ხვიჩა კვარაცხელიას პასით ანგარიში ზაზა ციცქიშვილმა გახსნა. უმრავი საგოლე მომენტის მიუხედავად რუსთაველებმა მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს. 45-ე წუთზე ოლეგ მამასახლისმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ნახევარში მცირე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 26 | 19 | 2 | 5 | 47-21 | 59 |
| 2.დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 50-23 | 55 |
| 3.დილა | 25 | 12 | 9 | 4 | 47-32 | 45 |
| 4.ჩიხურა | 26 | 12 | 5 | 9 | 39-25 | 41 |
| 5.ტორპედო | 23 | 12 | 4 | 7 | 38-20 | 40 |
| 6.ლოკომოტივი | 25 | 9 | 4 | 12 | 32-42 | 31 |
| 7.რუსთავი | 26 | 6 | 10 | 10 | 24-30 | 28 |
| 8.სიონი | 26 | 5 | 6 | 15 | 21-44 | 21 |
| 9.სამტრედია | 26 | 2 | 8 | 16 | 20-48 | 14 |
| 10.კოლხეთი | 26 | 4 | 6 | 16 | 23-56 | 12 |

**შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა**

## შედეგები

### 29 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-მანჩესტერი ..... 3:1
არსენალი-უოტფორდი ..... 2:0
ვულვზი-საუთჰემპტონი ..... 2:0
სიტი-ბრაიტონი ..... 2:0
ნიუკასლი-ლესტერი ..... 0:2
ჰადერსფილდი-ტოტენჰემი ..... 0:2
ევერტონი-ფულემი ..... 3:0
ჩელსი-ლივერპული ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-3 | 19 |
| 2.ლივერპული | 7 | 6 | 1 | 0 | 15-3 | 19 |
| 3.ჩელსი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-5 | 17 |
| 4.ტოტენჰემი | 7 | 5 | 0 | 2 | 14-7 | 15 |
| 5.არსენალი | 7 | 5 | 0 | 2 | 14-9 | 15 |
| 6.უოტფორდი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 7.ლესტერი | 7 | 4 | 0 | 3 | 13-10 | 12 |
| 8.ვულვზი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 9.ბორნმუთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-11 | 10 |
| 10.მანჩესტერი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-12 | 10 |
| 11.ევერტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-11 | 9 |
| 12.კრ.პალასი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 13.ვესტ ჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-12 | 7 |
| 14.ბრაიტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-13 | 5 |
| 15.საუთჰემპტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 16.ფულემი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-16 | 5 |
| 17.ბარნლი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-10 | 4 |
| 18.ნიუკასლი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-10 | 2 |
| 19.კარდიფი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-14 | 2 |
| 20.ჰადერსფილდი | 7 | 0 | 2 | 5 | 3-16 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-იფსვიჩი ..... 2:2
ბლექბერნი-ნოტინგემი ..... 2:2
ბოლტონი-დერბი ..... 1:0
ბრენტფორდი-რედინგი ..... 2:2
მილუოლი-შეფილდი ..... 2:3
ნორვიჩი-უიგანი ..... 1:0
პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი ..... 2:3
სუონსი-ქარ ..... 3:0
ჰალი-მიდლსბრო ..... 1:1
როტერჰემი-სტოკი ..... 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-ვალენსია ..... 0:1
ბარსელონა-ბილბაო ..... 1:1
ეიბარი-სევილია ..... 1:3
რეალი-ატლეტიკო ..... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 7 | 4 | 2 | 1 | 18:8 | 14 |
| 2.რეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| 3.სევილია | 7 | 4 | 1 | 2 | 16:7 | 13 |
| 4.ატლეტიკო | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 12 |
| 5.ალავესი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| 6.ესპანიოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| 7.სელტა | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| 8.ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:5 | 9 |
| 9.ვილიარეალი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:3 | 8 |
| 10.ხეტაფე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| 11.სოსიედადი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| 12.ვალენსია | 7 | 1 | 5 | 1 | 5:6 | 8 |
| 13.ხირონა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| 14.ბილბაო | 6 | 1 | 4 | 1 | 8:10 | 7 |
| 15.ეიბარი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| 16.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| 17.რაიო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:14 | 5 |
| 18.ლევანტე | 6 | 1 | 1 | 4 | 9:13 | 4 |
| 19.ლეგანესი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | 4 |
| 20.უესკა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:16 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-მალიორკა ..... 1:1
გრანადდა-კორდობა ..... 4:2
ხიხონი-ლას პალმასი ..... 1:0
ტენერიფე-კადისი ..... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-გლადბახი ..... 2:2
ნიურნბერგი-ფორტუნა ..... 3:0
ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი ..... 1:2
შალკე-მაინცი ..... 1:0
შტუტგარტი-ვერდერი ..... 2:1
ლევერკუზენი-დორტმუნდი ..... 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 6 | 4 | 2 | 0 | 19:5 | 14 |
| 2.ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 |
| 3.ჰერტა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| 4.გლადბახი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:9 | 11 |
| 5.ვერდერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| 6.ლაიპციგი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:9 | 11 |
| 7.ვოლფსბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:9 | 9 |
| 8.მაინცი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| 9.ნიურნბერგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| 11.ფრაიბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| 12.ლევერკუზენი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 |
| 13.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| 14.დიუსელდორფი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| 15.შტუტგარტი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| 16.აინტრახტი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| 17.შალკე | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| 18.ჰანოვერი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-რეგენსბურგი ..... 1:3
პადერბორნი-აუე ..... 1:0
ჰაიდენჰაიმი-ბოხუმი ..... 3:2

**იტალია. სერია ა**

რომა-ლაციო ..... 3:1
იუვენტუსი-ნაპოლი ..... 3:1
ინტერი-კალიარი ..... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 7 | 7 | 0 | 0 | 16:5 | 21 |
| 2.ნაპოლი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:10 | 15 |
| 3.სასუოლო | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 13 |
| 4.ინტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 13 |
| 5.ლაციო | 7 | 4 | 0 | 3 | 10:9 | 12 |
| 6.რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 14:10 | 11 |
| 7.ფიორენტინა | 6 | 3 | 1 | 2 | 12:5 | 10 |
| 8.ჯენოა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:10 | 9 |
| 9.სპალი | 6 | 3 | 0 | 3 | 4:6 | 9 |
| 10.სამპდორია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:3 | 8 |
| 11.უდინეზე | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| 12.პარმა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| 13.ატალანტა | 6 | 1 | 3 | 2 | 9:8 | 6 |
| 14.მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| 15.ტორინო | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| 16.კალიარი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | 6 |
| 17.ემპოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| 18.ბოლონია | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| 19.ფროზინონე | 6 | 0 | 1 | 5 | 0:16 | 1 |
| 20.კიევო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -1 |

**შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ლეჩე-ჩიტადელა ..... 1:1
სალერნიტანა-ვერონა ..... 1:0
სპეცია-კარპი ..... 2:1
ვენეცია-ლივორნო ..... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-პსჟ ..... 0:3
ანჟე-გენგამი ..... 0:1
კაენი-ამიენი ..... 1:0
ლიონი-ნანტი ..... 1:1
რეიმსი-ბორდო ..... 0:0
სტრასბური-დიჟონი ..... 3:0

**საფრანგეთი. 2 ლიგა**

მეცი-ლე ავრი ..... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 8 | 0 | 0 | 27:6 | 24 |
| 2.სტ.ეტიენი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:9 | 15 |
| 3.ლიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:7 | 14 |
| 4.მარსელი | 7 | 4 | 1 | 2 | 19:13 | 13 |
| 5.ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 13 |
| 6.მონპელიე | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 12 |
| 7.სტრასბური | 8 | 3 | 2 | 3 | 14:11 | 11 |
| 8.ბორდო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| 9.ტულუზა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:10 | 11 |
| 10.კაენი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:11 | 10 |
| 11.ანჟე | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | 10 |
| 12.დიჟონი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| 13.ნიცა | 8 | 3 | 1 | 4 | 6:12 | 10 |
| 14.ნიმი | 7 | 2 | 3 | 2 | 13:13 | 9 |
| 15.რეიმსი | 8 | 2 | 3 | 3 | 4:9 | 9 |
| 16.ამიენი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:13 | 7 |
| 17.რენი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | 7 |
| 18.მონაკო | 8 | 1 | 3 | 4 | 8:11 | 6 |
| 19.ნანტი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | 6 |
| 20.გენგამი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:17 | 4 |

**ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი**

ბრედა-პსვ ..... 0:2
ჰერენვენი-დენ ჰააგი ..... 1:1
სიტარდი-აიაქსი ..... 0:2
ექსელსიორი-ვენლო ..... 1:0

**ჰოხუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ფეირენშე ..... 1:0
რიუ ავე-ბოავიშტა ..... 2:1
სპორტინგი-მარიტიმუ ..... 2:0

**ჩეხეთი. პრემიერლიგა**

ურალი-არსენალი ..... 2:1
უფა-ენისეი ..... 2:1
ლოკომოტივი-ახმატი ..... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-გრასჰოპერსი ..... 2:1
თუნი-იანგ ბოიზი ..... 1:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-დანდი ..... 0:2
კილმარნოკი-მოზერველი ..... 3:1
სელტიკი-აბერდინი ..... 1:0
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ..... 0:1
ჰართსი-სტ.ჯონსონი ..... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ალტახი ..... 2:4
ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ..... 1:4
რაპიდი-სტ.პოლენი ..... 0:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

გენკი-ვარეგემი ..... 4:0
მუსკრონი-ბევერენი ..... 0:3
შარლერუა-ლოკერენი ..... 2:1
ბრიუგე-სერკლი ..... 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პანეთოლიკოსი ..... 1:0
პანათინაიკოსი-იანინა ..... 2:1
ოფი-აეკი ..... 0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-აკხისარი ..... 2:1
ტრაბზონი-ქაშიმფაშა ..... 4:2
ბეშიქთაში-ქაისერი ..... 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

დუკლა-ზლინი ..... 1:1
პრჟიბრჟამი-ბოლესლავი ..... 3:0
სლოვაკეკო-ოპავა ..... 0:2
ლიბერეცი-სიგმა ..... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-გურნიკი ..... 1:0
ზაგლებიე-პოგონი ..... 0:2
ვისლა-კორონა ..... 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლიმპიკი-ოლექსანდრია ..... 2:3

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ჰობრო ..... 5:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიუსი-ნორჩიოპინგი ..... 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სანდერფიორდი-ოდ გრელანდი ..... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰონკა-ჰიკი ..... 0:0
ვაასა-კუუპიო ..... 0:3
ილვესი-კემი ..... 4:0
ინტერი-მარიეჰამნი ..... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბათუმში ოლიმპიადა ფინიშისკენ დაიძრა

ბათუმში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადა თანდათან გახურდა და ფავორიტებიც უფრო და უფრო გამოიკვეთნენ. თუმცა, ტურნირს დაძაბულობა არ აკლია და ეს ერთ-ერთმა პირველმა სასაქართველოს ქალთა ნაკრებმა იწვნია, რომელმაც უმძიმესი შეხვედრა გამართა უშუალო კონკურენტთან, უკრაინის ნაკრებთან და 2:2 ითამაშა.

ეს იყო 2 ძლიერი, ფავორიტი გუნდის პაექრობა, რომლის შედეგიც ბევრ რამეს წყვეტდა, რადგან როდესაც შეჯიბრება დასასრულისკენ წავა და დამატებითი მაჩვენებლების დათვლა დაიწყება, უშუალო კონკურენტთან გამარჯვება ორმაგად მნიშვნელოვანი გახდება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდნენ ორივე გუნდის წევრებმა და საოცარი სიფრთხილით და კონცენტრაციით ითამაშეს.

პირველად დრო მეორე დაფაზე გაჩერდა, როდესაც ლელა ჯავახიშვილი შავი ფიგურებით მარია მუზიჩუკს ყაიმზე შეუთანხმდა. ჯერ ყველაფერი წინ იყო... მეორე შეხვედრა პირველ დაფაზე დასრულდა, სადაც ნანა ძაგნიძემ დიდი მცდელობის მიუხედავად თეთრი ფიგურებით ვერ აჯობა ანა მუზიჩუკს – აქაც ყაიმი. შეხვედრის ბედი მესამე და მეოთხე დაფებზე უნდა გადაწყვეტილიყო. მესამე დაფაზე ნინო ბაციაშვილმა თეთრი ფიგურებით ანნა უშენინასთან წააგო და ისე ჩანდა, რომ საქართველოს ნაკრები ახლოს იყო მარცხთან, რადგან მეოთხე დაფაზე ბელა ხოტენაშვილს არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა ნატალია ჟუკოვასთან. ერთი შეხედვით ყაიმის შანსიც ნაკლებად იყო, მაგრამ ბელამ საოცარი სიზუსტით ითამაშა და თითქმის წაგებული პარტია სათავისოდ შემოატრიალა, რამაც საქართველოს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი ქულა მოუტანა, უშუალო კონკურენტთან მედლებისთვის ბრძოლაში. ასე რომ ჯერ ყველაფერი წინ არის, მითუმეტეს რომ კიდევ ერთმა კონკურენტმა ჩინეთმა ასევე 2:2 ითამაშა სომხეთთან.

ქალთა მეორე ნაკრებმა თურქეთს სძლია 3.5:0.5, ხოლო მესამე გუნდმა ფინეთს 3:1 მოუგო.

ვაჟთა პირველმა ნაკრებმა მოულოდნელი მარცხის შემდეგ ბრაზილიის ნაკრები დაამარცხა 3:1. პარტიები მოიგეს მიხეილ მჭედლიშვილმა და ლევან ფანცულაიამ, თეთრი ფიგურებით შესაბამისად მეორე და მეოთხე დაფაზე.

გამარჯვება მოიპოვეს ვაჟთა მეორე და მესამე ნაკრებებმაც. მეორე გუნდმა მონღოლეთს აჯობა 3:1, ხოლო მესამემ ყირგიზეთი 2.5:1.5 დაამარცხა.

ახლა სხვებზეც ვთქვათ: მეოთხე ტურის შემდეგ ვაჟთა შორის 9 ნაკრები ლიდერობდა ასპროცენტიანი შედეგით და მეხუთე ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

აზერბაიჯანი, რომელიც რეიტინგის მეოთხე ნომერია და დამატებითი მაჩვენებლით ლიდერობდა ოლიმპიადას, პირველ მაგიდაზე სომხეთს შეხვდა. აზერბაიჯანელებმა 2,5:1,5 დაამარცხეს მეტოქე, ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს და ლიდერობა შეინარჩუნეს.

პოლონელთა ოთხეულმა ჯერ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიჩნეულ რუსეთის ნაკრებს აჯობა, ამჯერად კი ფრანგებს სძლია – 3:1. მართალია პირველ დაფაზე პოლონელთა ლიდერი იან-კრჟიშტოფ დუდა მაქსიმ ვაშიე-ლაგრავიმ განაიარაღა, მაგრამ მომდევნო დაფებზე პოლონელებმა გაიხარეს.

ჩინელი მოჭადრაკეებისთვის მეხუთე ტური საბედისწერო გამოდგა – ვერცერთმა გუნდმა გაიმარჯვა. ვაჟები 1:3 დამარცხდნენ ჩეხეთთან.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტი, ამერიკელთა ლიდერი ფაბიანო კარუანა თანდათან აუმჯობესებს თამაშს. მეორე და მესამე ტურებში ყაიმის შემდეგ (პირველ ტურში კარუანას არ უთამაშია), ჯერ ინდოელთა პირველ ნომერს ვიშვანათან ანანდს აჯობა, შემდეგ კი ისრაელის გუნდის ყველაზე ასაკოვანი და გამოცდილი წევრი ბორის გელფანდი დააშამათა. თუმცა, ამერიკელებმა მაინც ვერ მოიგეს: მეორე და მესამე დაფებზე ყაიმი დაფიქსირდა, მეოთხე დაფაზე კი ემილ სტუხოვსკიმ სემუელ შენკლენდს მოუგო. საბოლოოდ 2:2.

დიდებულად ასპარეზობენ უკრაინელები: მეხუთე ტურში ვაჟებმაც მეათე ადგილზე დამკვიდრებულ ესპანელებს აჯობეს – 2,5:1,5.

ქალთა ოლიმპიადას ექვსი ნაკრები ლიდერობდა ასპროცენტიანი მაჩვენებლით, მათ შორის საქართველოს პირველი გუნდი. საწყისი სამი წყვილი სწორედ მათით დაკომპლექტდა და მხოლოდ ერთში გამოვლინდა გამარჯვებული. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა შთამბეჭდავად – 3,5:0,5 სძლია მონღოლეთის ოთხეულს.

წინა ოლიმპიადის გამარჯვებულმა ჩინეთმა კი, 4 გამარჯვების შემდეგ ფრედ ითამაშა სომხეთთან – 2:2. ლიდერთა სხვა პაექრობებიდან გამოსარჩევია ინდოეთის ნაკრების გამარჯვება არგენტინასთან – 3,5:0,5.

მეხუთე ტურის შესახებ თხრობას კი შოტლანდიელთა პირველი ნომრით, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრით, ქეთევან არახამია-გრანტით დავასრულებთ. 50 წლის დიდოსტატმა ბათუმის ოლიმპიადაზე ზედიზედ მეხუთე პარტია მოიგო, ამჯერად ჰონდურასელი ენი ფიგეროას წინააღმდეგ.

ქეთევან არახამია-გრანტი წლების განმავლობაში იცავდა საქართველოს ნაკრების ღირსებას, 1997 წელს ევროპის გუნდური ჩემპიონატიც მოიგო, 2008 წლიდან კი შოტლანდიის სახელით ასპარეზობს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### სელაპმა კაიაკერს სახეში რვაფეხა ესროლა

ახალი ზელანდიის სანაპიროსთან კაიაკერ კაილ მალინდერს სახეში სელაპის მიერ ნასროლი რვაფეხა მოხვდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო თავად სპორტსმენმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მალინდერის თქმით, ის მეგობრებთან ერთად კაიაკებით საცურაოდ წავიდა და ერთ-ერთმა მათგანმა გადაწყვიტა, პირველად გამოეცადა ახალი კამერა. მათი ყურადღება წყალში სელაპისა და რვაფეხას ორთაბრძოლამ მიიპყრო. მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ მათთან ახლოს მიეცურათ, მაგრამ ცხოველები მათ თავად მიუახლოვდნენ. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი, რომელიც რვაფეხას დაგლეჯას ცდილობდა, წყლიდან ამოხტა და შემთხვევით თავისი მსხვერპლი სპორტსმენს სახეში სთხლიშა.

– დიახ, სელაპმა რვაფეხა სახეში მთხლიშა. ვიცი, რომ ეს სულელურად ჟღერს, – დაწერა ვიდეოს კომენტარში მამაკაცმა. ამის შემდეგ მოლუსკი საცეცებით ნავის ფსკერს ჩააფრინდა და მას ეჭიდებოდა მანამდე, სანამ სპორტსმენმა ის ნიჩბის დახმარებით არ მოაცილა ნავს.

### ამერიკელი კინაღამ ალიგატორის სადილად იქცა

ამერიკელმა იმისთვის, რომ ეფექტური კადრები გამოსულიყო, ალიგატორს კუდზე მოქაჩა და კინაღამ მის ყბებში აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, რომ შავი ფერის მაისურში გამოწყობილი მამაკაცი ალიგატორთან უკანა მხრიდან მივიდა და ნაპირზე მდგომმა მას ნელა მოქაჩა კუდზე. ამ დროს ოპერატორი მას ამხნევებდა და ეუბნებოდა, რომ ანიშნებდა, თუ რეპტილია მისთვის კბენას მოისურვებდა. თუმცა, როდესაც ალიგატორი მამაკაცისკენ მიტრიალდა და დაფრენილი ხახით პირდაპირ მამაკაცის წინ აღმოჩნდა, კადრს მიღმა მყოფი მამაკაცი მხოლოდ იცინოდა.

ამერიკელმა გაქცევა მოახერხა და რეპტილიის ყბებს თავი დააღწია. ამის შემდეგ ის ოპერატორს ეკითხება: „ოდესმე თუ გინახავს, რომ მსუქანი მამაკაცი ასე სწრაფად გაქცეულიყო?“.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სიჯანვოხელი



1. ჯუჯა კამეჩი; 2. სიმებიანი საკრავი; 3. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორისადმი; 4. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 5. „... ერგასის დღე“; 6. ქართული ტაძარი ამჟამინდელ თურქეთში; 7. ჭია; 8. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით; 9. ... მონტანი; 10. ქალთა ცეკვა; 11. საწინდარი; 12. ბაბუა; 13. რეკლამირება მასმედიით; 14. ზეგანი; 15. ქართული ზღაპარი; 16. ღამის ფრინველი; 17. ... სუმაკი; 18. ინგლისური მაგარი ლუდი; 19. ქუჩის სანათი; 20. ... სტრიპი; 21. მუდმივი ტემპერატურის შესანარჩუნებელი ჭურჭელი; 22. კურკოვანი ხილი; 23. გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე; 24. მდინარე აზიაში; 25. ... რიშარი; 26. სახელმწიფო აფრიკაში; 27. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 28. „... პირველი“; 29. ალგორითმული ენა; 30. ბერძნული ანბანის ასო; 31. გარდატეხა, კრიტიკული სიტუაცია.

**ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიგლი; 2. სააბი; 3. ნიახური; 4. ფეტა; 5. ეტნა; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიაკი; 11. ყარაგიოზი; 14. სამბა; 16. ეგერი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. ლელა; 24. პირსი; 25. რემბო; 26. ვიში.

**თარაზულად:** 7. ლინდგრენი; 8. ნაფტალანი; 12. დუვრი; 13. ბანქო; 15. უფიცა; 17. მორჩილაძე; 19. უნაბი; 21, პაიკი; 22. გზირი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შოპენი; 2. იდიოტი; 3. მასტიფი; 4. ლაუდერი; 5. ჯორჯაძე; 7. ბურნაკუ; 11. რეიდი; 12. მართვე; 13. წახნაგი; 14. კრიტიკა; 15. მოპედი; 17. დრაივი; 19. აბიო.

**თარაზულად:** 5. ჯოკონდა; 6. უკრაინა; 8. ტირე; 9. კირხე; 10. არქივი; 11. რიწა; 13. წურწუმია; 14. კეინი; 16. ადათი; 18. ტანგო; 20. კანიონი; 21. დათვები.




## ასტროპროგნოზი

**1 ოქტომბრისათვის**

**ვერძი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **კურო** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **ტყუპები** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **კირჩხიბი** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **ლომი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ქალწული** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **სასწორი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **ღრიანკალი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **მშვილდოსანი** – პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მერწყული** – სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – მრავალ თქვენგანს დიდი ხნის ოცნება უსრულდება. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

**გისუსვებთ ბედნიერ დღეს!**

# სამგლოვიარო განცხადებები



გამომცემლობა „ინტელექტი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი მწერალი

**თამაზ ჭილაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ქართველ მკითხველს.

შეუფასებელი და წარუშლელია **თამაზ ჭილაძის** ღვაწლი თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების სფეროში. იგი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საზოგადოებრივი აზრისა და სამწერლო ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი და მაღალი რანგის განმსაზღვრელი იყო.

თამაზ ჭილაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა ჰარმონიულად ითავსებდა პროზაიკოსის, პოეტის, დრამატურგის, ესეისტის, უბადლო ლიტერატურული გემოვნების რედაქტორის, საზოგადო მოღვაწისა და მომავალი თაობების აღმზრდელის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

თამაზ ჭილაძის საოცარი ინტელექტი, მაღალი პროფესიონალიზმი და პიროვნული ხიბლი დაუვიწყარია მისი კოლეგების, საქართველოსა და უცხოეთში ჩვენი ლიტერატურის გულშემატკივრებისა და, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის.

ზოგჯერ საფლავში წოლაც ბრძოლააო, – წერდა ერთგან თამაზ ჭილაძე. ეს ბრძოლა არ წყდება მწერლის გარდაცვალების შემდეგ – პირიქით, უფრო მეტ მნიშვნელობასა და სიმძაფრეს იძენს. დარწმუნებული ვართ, თამაზ ჭილაძის მიერ დატოვებული დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ მკითხველის ინტერესი და სიყვარული უფრო მეტად გაიზრდება.

*ბესიკ ხარანაული, ვახტანგ ჯავახაძე, ლევან ბრეგაძე, ირაკლი სამსონაძე, მაკა ჯოხაძე, შადიმან შამანაძე, ზაურ კალანდია, ელზა ახვლედიანი, დათო ტურაშვილი, ბათუ დანელია, ბექა ქურხული, მანანა დოიაშვილი, ბაჩო კვირტია, ირაკლი სოლომანაშვილი, ნატო ინგოროყვა, გიორგი კეკელიძე, ივანე ამირხანაშვილი, ლანა კალანდია, ზვიად კვარაცხელია, ირაკლი კაკაბაძე, გვანცა ჯობავა, ნინო სადღობელაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თამაზ ჭილაძეს ვაკის სასაფლაოზე დაკრძალავენ

ქართველ პოეტს, მწერალსა და დრამატურგს თამაზ ჭილაძეს ვაკის სასაფლაოზე 2 ოქტომბერს დაკრძალავენ.

მწერალს სამშაბათს სამების საკათედრო ტაძრიდან გამოასვენებენ, სადაც ნებისმიერ ადამიანს მასთან გამომშვიდობების საშუალება მიეცემა.

თამაზ ჭილაძე 87 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

## ევროპა ხატია ბუნიათიშვილის აფიშებით გადაჭრელებულია

ქართველ პიანისტ ხატია ბუნიათიშვილს კონცერტები მთელ მსოფლიოში აქვს დაგეგმილი. მთელი წლის განმავლობაში ხატია დედამიწის გარშემო მოგზაურობს და კლასიკური მუსიკის მოყვარულებს დაუვიწყარ საღამოებს ჩუქნის. მისი უახლოესი კონცერტები ევროპის სხვადასხვა ქალაქშია დაგეგმილი.

რეჟისორი დავით საყვარელიძე ევროპაში იმყოფება და სიამაყით გვატყობინებს, რომ ქართველი პიანისტის აფიშები მთელ ევროპაშია გამოკრული:

– ევროპა გადაჭრელებულია ხატიას აფიშებით!

## თბილისში ფიროსმანის მეთევზე სიმფსონების სტილში დახატეს

თბილისში ქუჩის მხატვრობა სულ უფრო პოპულარული ხდება. მიწისქვეშა გადასასვლელების შემდეგ მხატვრების მიერ სხვადასხვა ქუჩაზე ნაგებობების კედლები იხატება.

მხატვარმა გამეზამ თბილისის ქუჩების გალამაზებლად ნიკო ფიროსმანის ცნობილი ნახატი „მეთევზე“ სიმფსონების სტილში დახატა. ნამუშევარმა დამთვალიერებელში არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. ზოგმა მხატვრის ორიგინალური სტილი მოიწონა, ზოგმა კი განაცხადა, რომ ნიკო ფიროსმანის ნამუშევარს ასეთი დამახინჯება არ უხდება.

## მუცოს რეაბილიტაცია წელს დასრულდება

უკვე ოთხი წელია, მუცოს აღდგენისა და გადარჩენის მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს.

მუცო უძველესი დროიდან წარმოადგენდა ერთ მთლიან საფორტიფიკაციო, სათავდაცვო სისტემასა და ჩრდილოეთიდან საქართველოში მომავალი გზების დამცველ ავანპოსტს. ეს არის მიუვალი სიმაგრე და უანალოგო კომპლექსი, რომელიც განვითარებულია გვიან შუასაუკუნეებში. სოფელი მუცო მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არდოტის, არდოტისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მუცოს რეაბილიტაციის პროექტი წელს დასრულდება.

მუცოს აღდგენისა და გადარჩენის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი და მასშტაბური პროექტია. პროექტის დამასრულებელი ეტაპი სოფლის ზედა უბნის სრულ რეაბილიტაციასა და ციხე-სოფლის ინფრასტრუქტურულ მოწყობას ითვალისწინებს. ავთენტურ იერსახეს სრულფასოვნად დაიბრუნებს ზედა ტერასის ყველა ციხე-კოშკი და მათი კონსტრუქციული ელემენტები.

სარეაბილიტაციო ეტაპების ფარგლებში რესტავრირდა შუა და ქვედა უბნის ციხე-კოშკები და შენობა-ნაგებობები. ფიქალის ქვის ტრადიციული მშრალი წყობით აღდგა ჩამოშლილი და დაზიანებული ფასადები, ავთენტური ფორმითა და სათანადო ჰიდროიზოლაციით მოეწყო მათი გადახურვის კონსტრუქციები. სარეაბილიტაციო ეტაპის ფარგლებში აღდგა 20-მდე ციხე-კოშკი. პროექტის მიმდინარეობისას, ასევე აღდგენილია ქვის კიბეები, გადახურვის კოჭები და აივნების სვეტები; დამზადდა მუხის კარ-სარკმლები, მოწყობილია თიხატკეპნილები, დასრულებულია ციხე-კოშკების გადახურვის მოწყობაც. ფიქალის ქვების სახით სამუშაო პროცესში გამოყენებულია ტრადიციული მასალა, რომელიც რეგიონში მოიპოვება.

კლდეზე ნაგები კომპლექსის კრიტიკული მდგომარეობის მიუხედავად, ძეგლის მდებარეობის, მისი სტრუქტურის, არქიტექტურული მდგომარეობისა და რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მუცოს კონსერვაცია წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა, რაც ძეგლის არქიტექტურის სტრუქტურული რღვევის პროცესს იწვევდა.

სარეაბილიტაციო პროცესის საწყისი 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყების საბიუჯეტო დანახარჯების ოდენობამ 1 მილიონ 450 ათასი ლარი შეადგინა, მომდევნო 3 წლის განმავლობაში კერძო საქველმოქმედო ფონდის მიერ გაღებული დანახარჯების ჯამურმა ოდენობამ კი – 1 მილიონ 215 ათასი ლარი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**

## იტალიის ქარხანაში ღვინით სავსე ავზი აფეთქდა



იტალიის ტრევიზოს პროვინციის ქალაქ ფონტანელეში აფეთქდა ავზი, რომელშიც თეთრი შუშხუნა ღვინო იყო ჩასხმული. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, ვერტიკალური ხუთსართულიანი სახლის სიმაღლის ლითონის ავზიდან როგორ იღვრება ქაფიანი სითხე, ხოლო ღვინის ქარხნის გარშემო ღვინის მდინარე მიედინება.

გავრცელებული ინფორმაციით, ავზიდან დაახლოებით 30 ათასი ლიტრი პროსეკო დაიღვარა. ავარიის სავარაუდო მიზეზად ადამიანის ფაქტორი სახელდება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს აღებულმა ყურძნის მოსავალმა გასული წლის მაჩვენებელს ათ პროცენტზე მეტით გადააჭარბა.

## მამაკაცმა სიცოცხლე შვილიშვილის გადასარჩენად გაწირა



ამერიკის ნიუ-მექსიკოს შტატში 63 წლის მამაკაცი შვილიშვილის გადარჩენის დროს დაიღუპა, როდესაც მათი ჯიპი კლდიდან გადავარდა.

მთებში ავტომობილით მგზავრობისას, რომელშიც ჯერარდ გრინაფი და მისი 13 წლის შვილიშვილი ოსტინ კერლი იმყოფებოდნენ, მანქანა კლდეზე გაიჭედა. მამაკაცი შეეცადა, სახიფათო ადგილიდან გასულიყო, მაგრამ ქვები, რომლებზეც მანქანა იდგა, ქვევით დაცურდა და ავტომობილიც თან გაიყოლეს 45 მეტრის სიმაღლიდან. როდესაც ჯიპმა ვარდნა დაიწყო, გრინაფმა მოასწრო და შვილიშვილი მკერდში ჩაიკრა, რათა ამით მისთვის დარტყმის ძალა შეერბილებინა.

შემთხვევის ადგილზე შემთხვევით აღმოჩენილი პარამედიკოსი 20 წუთის განმავლობაში ცდილობდა მამაკაცისთვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ მისმა მცდელობამ, სამწუხაროდ, შედეგი ვერ გამოიღო. მოზარდმა ბევრი სისხლი დაკარგა, მას დაუზიანდა ღვიძლი და კუჭქვეშა ჯირკვალი, მოტეხილი აქვს ლავიწის ძვალი და დაზიანებული აქვს ხერხემალი, თუმცა ცოცხალი გადარჩა. შემთხვევითმა გამვლელებმა ის გზაზე გაიყვანეს, საიდანაც ის სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

## ვეტერანი საკუთარი დასაფლავებისთვის თანხის შესაგროვებლად ქონების გაყიდვას აპირებს

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ბრაუნსთაუნში მძიმედ დაავადებულმა ვეტერანმა გადაწყვიტა, საკუთარი ქონება გაეყიდა, რათა დასაფლავებისთვის ფული შეეგროვებინა.

უილი დევისს იმედი აქვს, რომ გარდაცვალების შემდეგ მას ვირჯინიის შტატში იმ სასაფლაოზე დაასაფლავებენ, სადაც მისი მშობლები განისვენებენ. მისი ამ სურვილის ასრულებისთვის, სავარაუდოდ, 15 ათასი დოლარი იქნება საჭირო. ასეთი თანხა დევისს არ აქვს, ამიტომ მან გადაწყვიტა, საკუთარი ნივთები გაყიდოს. ყოველ გამოსასვლელ დღეს მას ეზოში გამოაქვს საკუთარი ნივთები იმის იმედით, რომ მათ გამვლელები იყიდიან.

ერთ-ერთი ასეთი მყიდველი დევიდ დანკლბერგერი აღმოჩნდა, რომელიც გაოგნებული დარჩა, როდესაც გაიგო, თუ რისთვის აგროვებდა ფულს დევისი. მან ამის შესახებ თავის მეგობარს უამბო.

– როდესაც მის ისტორიას ისმენ, გული გტკივა, – ამბობს დანკლბერგერის მეგობარი, – ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რაიმე გაგვეკეთებინა მის დასახმარებლად.

მათ დევისისთვის კრაუდფანდინგურ გვერდზე თანხის შეგროვება დაიწყეს. ერთი თვის განმავლობაში 800-ზე მეტმა ადამიანმა გაიღო თანხა ვეტერანისთვის და 28 ათასი დოლარი შეგროვდა. მათმა უმეტესობამ ხუთი ან ათი დოლარი გაიღო, რამდენიმემ ას დოლარზე მეტიც კი გამოუგზავნა. ერთ-ერთმა კი ათასი დოლარიც შესწირა. დანკლბერგერი და მისი მეგობარი ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ 40 ათას დოლარამდე შეაგროვებენ.

## ერაყში „მის ბაღდადი 2015“ მოკლეს

ერაყში გარდაცვლილი ნახეს „მის ბაღდადი 2015„-ის ტიტულის მფლობელი ტარა ფარესი. ამ ინფორმაციას ქურთისტანის ტელეარხი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 22 წლის გოგონა 27 სექტემბერს კან-სარას რაიონში საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. მას სხეულზე სამი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ნაჭრილობევი ეტყობა, რომლებიც მისი დაღუპვის მიზეზი გახდა. ამ დროისთვის სამართალდამცავი ორგანოები მომხდარს იძიებენ.

## ყოფილმა მოსწავლემ საძულველი მასწავლებლის გადასარჩენად საკუთარი ორგანო გაიღო



ახალგაზრდა ექიმმა მალაიზიის ქალაქ პეტალინგ-ჯაიადან საკუთარი ღვიძლის ნაწილი გაიღო მასწავლებლისთვის, რომელიც მას დაწყებით სკოლაში ასწავლიდა.

25 წლის ჯერომ ჩინმა თავისი ყოფილი მასწავლებლის ავადმყოფობის შესახებ მისი ქალიშვილისგან გაიგო, რომელთანაც დაბალ კლასებში მეგობრობდა. ქალს ღვიძლის გადანერგვა სჭირდებოდა, მაგრამ შესაბამის დონორს ვერ ნახულობდა. რვა ადამიანი, რომლებიც მზად იყვნენ საკუთარი ღვიძლის ნაწილი გაეღოთ, ექიმებმა დაიწუნეს.

ჩინმა გადაწყვიტა ყოფილ მასწავლებელს დახმარებოდა. მისი თქმით, ბავშვობაში ის ვერ იტანდა მკაცრ მასწავლებელს, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ მართალი არ იყო.

– ის სულ ჯოხით დადიოდა და არცთუ იშვიათად იყენებდა ჩემ დასასჯელად, – განაცხადა ახალგაზრდა ექიმმა, – მძულდა მასწავლებლები, რომლებიც მცემდნენ, მაგრამ მათი დაფასება სკოლის დამთავრების შემდეგ დავიწყე.

სექტემბრის დასაწყისში ჩინის ღვიძლის 67 პროცენტი მის ყოფილ მასწავლებელს გადაუნერგეს. მისი თქმით, ამაში საგმირო არაფერი იყო.

– მე, უბრალოდ, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩდი და გავაკეთე ის, რაც შემეძლო, – დაამატა ჩინმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**1 ოქტომბრისთვის**

აშშ დოლარი — 2.6151

ევრო — 3.0306

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4130

100 რუსული რუბლი — 3.9742

## ამინდის პროგნოზი 1 ოქტომბრისთვის

## დედოფალ ელისაბედ II-ს „მესამე ხელი“ აღმოაჩნდა

დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს „მესამე“ – ხელოვნური ხელი აქვს ხალხთან მისალმებისთვის, როდესაც თავისი ნამდვილი ხელი ხანგრძლივი ღონისძიების დროს ეღლება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული ტაბლოიდი წიგნ „მსოფლიოს დედოფალზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ ხელოვნური ხელი ელისაბედ II-ს ავსტრალიელმა სტუდენტებმა აჩუქეს. ამის თაობაზე წიგნში საუბრობს მონარქის ქალიშვილი, პრინცესა ანა. ასეთი მექანიზმი უნდა დაეხმაროს ბრიტანეთის დედოფალს, როდესაც მისი საკუთარი ხელი ხალხთან ხანგრძლივი მისალმების დროს ეღლება. სპეციალურ საგანს აქვს ხის ბერკეტი, რომელსაც ზევიდან დადგმული აქვს ხელთათმნიანი ხელის მტევანი.

ამავე დროს, წიგნის ავტორი რობერტ ჰარდმანი აცხადებს, რომ დედოფალმა, შესაძლოა, აღნიშნული საჩუქარი შოტლანდიაში ბალმორალის საკუთარ ციხე-სიმაგრეში წაიღო. ის მიიჩნევს, რომ ელისაბედ II-ს არც არასდროს უსარგებლია ხელოვნური ხელით, თუმცა ეს ნივთი, მისი თქმით, სამეფო ოჯახის „საყვარელ ოჯახურ ხუმრობად“ იქცა.

## ბრიტანეთში მეგან მარკლის ნიშნობის ბეჭდის ასლების გაყიდვა დაიწყეს

დიდ ბრიტანეთში ბუკინჰემის სასახლის სუვენირების მაღაზიაში სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის ნიშნობის ბეჭდის ასლების გაყიდვა დაიწყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბეჭედი სამი გამჭვირვალე კრისტალით 39 დოლარად იყიდება.

აღსანიშნავია, რომ საიუველირო ნაკეთობა მეგან მარკლის ნიშნობის ბეჭდის მსგავსია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეგან მარკლის ორიგინალ ბეჭედს სამი ბრილიანტის თვალი აქვს, რომელთაგან ორი პრინცესა დიანას პირადი კოლექციიდან არის.

## მოღალატე ცოლს ტაქსის მძღოლად ქმარი მოევლინა

კოლუმბიაში ქალმა და მისმა საყვარელმა გამოიძახეს ტაქსი, რომლის მძღოლიც ქალის ქმარი აღმოჩნდა.

კოლუმბიელი ქალბატონი იემი და მისი საყვარელი ხესუს ბარიოსი საკუთარ ურთიერთობას წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მალავდნენ, სანამ მოღალატე ცოლის მეუღლეს არ გადააწყდნენ. ქალმა არ იცოდა, რომ მისი მეუღლე დამატებით შემოსავალს ტაქსისტობით შოულობდა, რისთვისაც მეგობრის მანქანასა და ინტერნეტში მის აკაუნტს ლეონარდოს სახელით იყენებდა. სანამ გამოძახებული ტაქსი მათთან მივიდოდა, ქალმა და მისმა საყვარელმა ყურადღებით შეისწავლეს ლეონარდოს აკაუნტი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ არც ერთი მათგანი მძღოლს არ იცნობდა.

ცოლმა და ქმარმა ერთმანეთი მხოლოდ მაშინ იცნეს, როდესაც საყვარლები ტაქსში ჩასხდნენ. თუ რა მოხდა ამის შემდეგ, ზუსტად არ არის ცნობილი. ერთი ინფორმაციით, წყვილმა გაცოფებული ქმრისგან გაქცევა მოახერხა, ხოლო მეორე ინფორმაციით, ქალი და მისი ქმარი მანქანიდან გადმოვიდნენ და სკანდალი მოაწყვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

•••

პლაჟზე ოფიცერი და რიგითი ჯარისკაცი მიაბიჯებენ. ამ დროს რიგითი მეთაურს ეუბნება:

– ბატონო ოფიცერო, აი, იმ გოგონას მართლაც ლამაზი ფეხები აქვს, ხო?

– არ ვიცი, ჯერ მისი მწყობრში სიარული არ მინახავს.

•••

ხანშიშესული ქალი ახალგაზრდას ეუბნება:

– კაცები სულ იმას გვიმტკიცებენ, რომ მზად არიან, ჩვენი გულისთვის მთები გადააბრუნონ.

– მერე?

– რა მერე, გადაბრუნებული მთას სადმე შეგიმჩნევია?

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– ოქროს ბეჭდის შესარჩევად წამომყვები?

– ნაადრევი ხომ არ იქნება? იქნებ გადავიფიქრო.

– ბეჭედი მაინც გამოგადგება, გადაადნობ და ოქროს კბილს ჩაისვამ.

– რომელ კბილს?

– რომელსაც ჩაგიმტვრევ, თუ გადაიფიქრებ!

•••

მაწანწალა კარზე აკაკუნებს. მასპინძელმა კარი გააღო თუ არა, მაწანწალა ეუბნება:

– თუ შეიძლება, ტორტის ნაჭერი მომეცით.

გაოგნებული მასპინძელი ეკითხება:

– რა ტორტი, ყოველთვის პურს არ თხოულობდი?

– ჰო, მაგრამ დღეს დაბადების დღე მაქვს და...

•••

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რითი სჯობია საყვარელი ცოლს?

– იმით, რომ საყვარელს შეგიძლია ცოლის ნაკლოვანებებზე თავისუფლად ესაუბრო. და აბა ერთი ცადე და ცოლს საყვარლის ნაკლოვანებებზე ესაუბრე...

•••

ორი პოლიციელი შეიარაღებული დამნაშავის ასაყვანად მიდის. ერთი მეორეს ეუბნება:

– შენ წინ წადი, მე კი მერე შენთვის შურს ვიძიებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

BOAI

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.



TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან
უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან
რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ქალმა მეუღლის ყურადღების მისაქცევად ფეხმძიმობა, მშობიარობა, გატაცება და მკვლელობა გაითამაშა

კოლუმბიელი ქალი ცხრა თვის განმავლობაში თავს ფეხმძიმედ ასაღებდა, შემდეგ იტყუებოდა, რომ ის ბანდიტებმა მოიტაცეს და რომ ბავშვი მუცლიდან ამოაცალეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალი ასეთი საშუალებით ცდილობდა მეუღლის შენარჩუნებას.

38 წლის ანტონელა მილენა პადილა ქალაქ ბარანკილიდან ტანსაცმლის ქვეშ ბალიშს მალავდა და თავს ფეხმძიმედ ასაღებდა. ის ბალიშის ქვეშ ნაჭრებს უმატებდა, რათა ამით ოჯახისა და ახლობლებისთვის ეჩვენებინა, რომ მუცელი თანდათანობით ეზრდებოდა. მათ ასევე უჩვენებდა ექოსკოპიის სურათებს იმის დასტურად, რომ ნამდვილად ფეხმძიმედ იყო, თუმცა ისინი სინამდვილეში ინტერნეტიდან ჰქონდა გადმობეჭდილი.

ამ დროის განმავლობაში მეუღლემ ვერაფერი შეინიშნა და მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც მამა გახდებოდა. რამდენიმე დღის წინ მამაკაცს მეუღლემ აცნობა, რომ საავადმყოფოში საკეისრო კვეთის გასაკეთებლად მიდიოდა. იმავე საღამოს მან ოჯახში დარეკა და ატირებულმა უამბო, რომ ბანდიტებმა წითელი სატვირთო მანქანით გაიტაცეს. მისი თქმით, ის მამაკაცებმა გაკოჭეს, ნარკოტიკები გაუკეთეს და მუცლიდან ბავშვი ამოაცალეს, რათა შავ ბაზარზე გაეყიდათ, ხოლო თავად ქალი ქალაქის მეორე ბოლოში მაღაზიასთან ჩამოაგდეს.

გაოგნებულმა ნათესავებმა, მიუხედავად ქალის წინააღმდეგობისა, ის საავადმყოფოში მიიყვანეს და ექიმებმა მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს სამართალდამცავებს. პოლიციის თანამშრომლები იმ ფაქტმა ჩააფიქრა, რომ ქალს სხეულზე ნაიარევები არ ეტყობოდა. სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ ის არც ფეხმძიმედ ყოფილა და არც ნარკოტიკები ჰქონდა გაკეთებული.

საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც ყველაფერი გამჟღავნდა, ქალი გაიქცა. ამ დროისთვის მისი ადგილსამყოფელი უცნობია. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის თქმით, ქალს სახელმწიფო რესურსების გაფლანგვის ბრალდებას წაუყენებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოსვოიდი



**თარაზულად:** 1. შენობის წინა მხარე; 4. ოფისი; 7. სამხედრო წოდება; 9. პატარა მაიმუნი; 11. რამდენიმე ჯიშის ძაღლის საერთო სახელწოდება; 12 სახელმწიფო აზიაში; 13. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი ავსტრალიური ცხოველი; 17. ზღვის დიდი ცხოველი; 18. კვამლი; 19. ძველებური ნივთებით მოვაჭრე; 20. ორკესტრის ხელმძღვანელი.

**შვეულად:** 1. ძირითადი ტონი, რომელზეც სურათი იხატება; 2. დასარტყმელი მუსიკალური საკრავი; 3. დამღა; 5. მტაცებელი ცხოველი; 6. რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება; 8. დასარტყმელი მუსიკალური საკრავი; 10. მიწის თხილი; 12. ფრანგული ცეკვა; 14. აპკი, რომელიც გულმკერდისა და ფილტვების ღრუს ფარავს; 15. მეცნიერების დარგი; 16. სპორტის სახეობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*